

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ფინანსები და საბანკო საქმე

ტონიტო ძნელაძე

საქართველოს საგადასახადო სისტემის გენეზისი:

არსებული რეალობა და პერსპექტივები

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ე.ა.დ.პროფ. ა. ჩუთლაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

საგადასახადო სისტემის განვითარება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს. მხოლოდ განვითარებული, თანამედროვე და მოქნილი საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი: ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდა, მდგრადი და ინკლუზიური განვითარება, ინოვაციური წარმოების შექმნა და სოციალური პრობლემების დაძლევა.

საქართველოს საგადასახადო სისტემა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მუდმივად იცვლებოდა და დღემდე განიცდის ცვლილებებს. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოს საგადასახადო სისტემის გენეზისის აღწერა, არსებული რეალობისა და პერსპექტივების ანალიზი. ნაშრომში ასახულია საგადასახადო სისტემის განვითარების პერიოდი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, გაანალიზებულია ესტონური საგადასახადო მოდელის გამოცდილება ესტონეთში, მისი კავშირი უცხოურ ინვესტიციებსა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან და ესტონური მოდელის ქართული რეალობა, ასევე განხილულია სკანდინავიური მოდელი, როგორც ესტონური მოდელის ალტერნატივა და გავლებულია პარალელები საქართველოში არსებულ რეალობასთან.

საქართველო დღეისათვის მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა შორის უმთავრესია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მათი გადაჭრის პროცესში საგადასახადო სისტემას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. დღეისათვის საქართველოში, მიუხედავად მრავალი კრიტიკისა, დომინირებს ესტონური მოდელის იდეა და ის განხილულია, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის განვითარების ეფექტური საშუალება, თუმცა დაბალი ეკონომიკური ზრდისა და პუი-ის შემცირების პირობებში მისი ეფექტურობა სათუთაა, ამიტომაც საჭიროა არსებული განვითარების ვექტორის გადახედვა და სხვა ალტერნატივების ძიება, რომელთაგან ყველაზე მეტად საინტერესოა ეკონომიკის სკანდინავიური მოდელი.

Abstract

Tonito Dzneladze

Genesis of the Georgian tax system: existing reality and perspectives

The development of the tax system is the most important issue of Georgia's economic policy. Only developed, modern and flexible tax system can provide high economic growth of the country, sustainable and inclusive development, creation of innovative production and overcoming social problems.

The tax system of Georgia has been constantly changing since independence and is still experiencing changes. The aim of the presented master's thesis is to describe the genesis of tax system of Georgia, analysis of existing reality and perspectives. The work outlines the period of development of the tax system from the extraction of independence, analyzes the Estonian tax model in Estonia, relation of foreign investments and development of innovative technologies and Georgian reality of the Estonian model, also discussed the Scandinavian model as an alternative to the Estonian model and the parallels with the reality in Georgia.

Today Georgia faces many challenges, the most important of which is socio-economic problems. In the process of their solving, the tax system has one of the most important roles. Today in Georgia, despite many criticisms, the idea of the Estonian model is considered as an effective means of attracting direct foreign investments and business development. However, in terms of low economic growth and FDI reduction the idea of estonian model is under the question. That is why it is necessary to revise existing development vector and search for other alternatives, the most interesting of them is Scandinavian economic model.

შინაარსი

ანოტაცია.....	
Abstract.....	
შესავალი.....	5
თავი I. საგადასახადო კანონმდებლობის როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში	7
თავი II. საქართველოს საგადასახადო სისტემის ტრანსფორმაცია ეკონომიკის რეფორმირების პროცესში.....	18
თავი III. მოგების გადასახადის ესტონური გამოცდილება	65
თავი IV. სკანდინავიური მოდელი და საქართველოს განვითარების პერსპექტივები	84
დასკვნები და წინადადებები	103
გამოყენებული ლიტერატურის სია:	105

შესავალი

თემის აქტუალურობა - საგადასახადო სისტემის სრულყოფა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ფუნდამენტური საკითხია. საქართველოს ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, წარმოების განვითარება, სიღარიბის დაძლევა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ გამართული, ეფექტური და რეალობას მორგებული საგადასახადო სისტემის პირობებში.

გადასახადების რაოდენობის, მისი სახეების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური რეალობის, სოციალური გამოწვევების, სამართლიანობისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, ყველა დროის ხელისუფლებისა თუ მოაზროვნეების მსჯელობის საგანს წარმოადგენდა და აქტუალურობა არასოდეს დაუკარგავს. ნებისმიერი ქვეყნის მიზანია შექმნას ისეთი მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემა, რომელიც გაუმკლავდება ცვალებად ეკონომიკურ გარემოს და უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

მსოფლიოში ჯერ არსად შექმნილა იდეალური და ყველასათვის მისაღები საგადასახადო სისტემა, გადასახადები მუდმივად იცვლება, ზოგი ცვლილება წარმატებულია, ზოგი წარუმატებელი, ქართული საგადასახადო სისტემა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ცვლილებებს განიცდის, მაგრამ არსებული რეალობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა სრულყოფილებისგან შორსაა.

აუცილებელია საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების ისტორიის ანალიზი, რათა გამოვლინდეს დაშვებული შეცდომები, მიღწეული წარმატებები, გამოვიტანოთ დასკვნები, რათა საბოლოო ჯამში მოვახდინოთ საგადასახადო სისტემის სრულყოფა და მომავლის შესაძლო პრობლემები თავიდან ავირიდოთ, შესაბამისად

გადასახადების თემატიკა საქართველოს განვითარების პარალელურად მუდმივ აქტუალურობას ინარჩუნებს, მითუმეტეს ისეთ გადამწყვეტ პერიოდში როგორც დღესაა, როცა საქართველოში ინერგება ახალი საგადასახადო, ესტონური მოდელი.

კვლევის საგანი - საქართველოს საგადასახადო პოლიტიკისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის გენეზისი, მისი განვითარების არსებული გზა (ესტონური მოდელი) და ალტერნატივა (სკანდინავიური მოდელი).

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები - სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და სხვა უწყებების მასალები, ასევე საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების შესახებ არსებული ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომები.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა ისეთი მეცნიერული მეთოდები როგორცაა: სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, დაჯგუფება, შედარებითი ანალიზი, ანალოგიები, პროგნოზირების და სხვა მეთოდები.

კვლევის მიზანი - გაანალიზებული იქნას საქართველოს საგადასახადო სისტემის შექმნისა და განვითარების ეტაპები, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე. შეფასდეს წარსული და არსებული პრობლემები, ასევე მიღწეული პროგრესი და წარმატებული რეფორმები, ასევე ესტონური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებული საფრთხეები, მომავლის შესაძლო გამოწვევები და ალტერნატივა სკანდინავიური მოდელის სახით.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები - გაანალიზებულია საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების ეტაპები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე, ასახულია ყოველი ეტაპისათვის დამახასიათებელი ხარვეზები და წარმატებები, განხილულია ესტონური მოდელის არსი

და მის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემები და საფრთხეები, განხილულია სკანდინავიური მოდელი და მისი პერსპექტივები საქართველოში.

თავი I. საგადასახადო კანონმდებლობის როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში

საგადასახადო სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის პროცესში. ის ახასიათებს ურთიერთობებს სახელმწიფოს, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის, აჩვენებს სახელმწიფოს ფინანსურ, საინვესტიციო, საწარმოო გარემოს თავისებურებებს, ასევე ქვეყნის ეთიკური და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს. საგადასახადო სისტემის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, რეგიონების, ეკონომიკის დარგების ინტერესთა ბალანსის განსაზღვრა და მათი სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა. საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განუყოფელ ფაქტორს, რომელიც ქმნის საქმიან კლიმატს. გადასახადების, საკრედიტო და საბიუჯეტო ურთიერთობების ჰარმონიზაციის დონის მიხედვით შესაძლებელია ეკონომიკური ინსტიტუტების მდგრადობაზე მსჯელობა.

სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა განიხილება, როგორც ხელისუფლების უნარი შექმნას და შეინარჩუნოს მიმზიდველი გარემო საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებისათვის (დაბალი ბარიერების არსებობა ბაზარზე შესვლის, ოპერირებისა და გამოსვლის დროს), უზრუნველყოს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გამჭირვალობა და მდგრადობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, დაიცვას ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა: საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს გარანტია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში, ფისკალური პოლიტიკის შეფასების დროს გამოიყენება ისეთი კრიტერიუმები როგორცაა:

საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში, ფიზიკური პირების მიერ გადახდილი გადასახადების წილი მშპ-ში, იურიდიული პირების მიერ გადახდილი გადასახადების წილი მშპ-ში, არაპირდაპირი გადასახადების წილი მშპ-ში, პირდაპირი გადასახადების წილი მშპ-ში, სოციალური გადასახადების წილი მშპ-ში, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, მოგების გადასახადის განაკვეთი, დღგ-ს განაკვეთი, სოციალური გადასახადების განაკვეთები, გადასახადებისგან თავის არიდების დონე. სხვა კრიტერიუმებია: საგადასახადო ადმინისტრირების ხარისხი, ბიუროკრატის პოლიტიზირების დონე, სხვადასხვა სუბსიდიების და პრეფერენციების გავლენა კონკურენტულ გარემოზე.

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების დროს იყენებს საგადასახადო სისტემის შეფასების კრიტერიუმებს, კერძოდ: საგადასახადო ტვირთის დონე, საკანონმდებლო სისტემის ეფექტურობის დონე, საშემოსავლო გადასახადების დონე და ეფექტიანობა და სხვ...

კონკურენტუნარიანი სახელმწიფო, ეკონომიკური სუბიექტებისთვის ქმნის სანდო ინსტიტუტებს, მომსახურებისა და საქონლის წარმოებისათვის ეფექტურ გარემოს და სამართლიან სასამართლო სისტემას დავების გადაჭრისათვის.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია:

- საგადასახადო ტვირთის დონე მშპ-სთან ან ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან მიმართებით
- გადასახადების რაოდენობა
- საგადასახადო განაკვეთების რაოდენობა, საგადასახადო შეღავათები და პრეფერენციები
- გადასახადების ადმინისტრირების ეფექტურობა, საგადასახადო ორგანოების უფლებები და კანონების ზუსტი განმარტება
- ნორმატიული აქტების ხარისხი, გადასახადების დარიცხვისა და გადახდის სისტემის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა

- საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ადმინისტრირება და ამ პროცესში მოქალაქეების ჩართულობის დონე
- სადამსჯელო სანქციების სისტემა
- გასაჩივრების სისტემის ეფექტურობა გადასახადების გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის წარმოქმნილი დავის შემთხვევაში

ზემოთხსენებული ფაქტორების ერთობლიობა და კომბინირება, სასამართლო, ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტების ურთიერთობა, საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკა - მოქმედებს ქვეყნის საგადასახადო სისტემის კონკურენტუნარიანობაზე, რაც თავის მხრის განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

გამოყოფენ საგადასახადო პოლიტიკის სამ ტიპს:

პირველი ტიპი - მაქსიმალური გადასახადების პოლიტიკა, რომლის დროსაც სახელმწიფოსთვის მზადდება „საგადასახადო ხაფანგი“ და გადასახადების ზრდა სახელმწიფო შემოსავლების მატებით არ ხასიათდება. განაკვეთის ზღვრული საზღვრები დადგენილია და ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ზღვრულ განაკვეთად 50%-ს მიიჩნევენ.

მეორე ტიპი - გონივრული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მეწარმეობის განვითარებას ხელშემწყობი და ხელსაყრელი საგადასახადო კლიმატით უზრუნველყოფს. მეწარმე გადასახადებით დაბეგვრიდან მაქსიმალურად თავისუფლდება, მაგრამ ამ შემთხვევაში სოციალური პროგრამების უზრუნველყოფა იზღუდება, რადგანაც სახელმწიფო შემოსავლები მცირდება.

მესამე ტიპი - საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც დაბეგვრის საკმაოდ მაღალ დონეს ითვალისწინებს, ოღონდ მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის პირობებში. ამასთან, საგადასახადო შემოსავლებს მიმართავენ სხვადასხვა სოციალური ფონდის გაზრდაზე.

საგადასახადო სისტემა ხასიათდება ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური მახასიათებლებით. ეკონომიკურ მახასიათებელს პირველ რიგში მიეკუთვნება საგადასახადო ტვირთი.

საგადასახადო ტვირთი – არის განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს გადასახდების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის შეფარდება ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან. სხვა სიტყვებით – საგადასახადო ტვირთი ასახავს საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც ნაწილდება საბიუჯეტო მექანიზმის მეშვეობით.

კონკრეტული გადასახადის გადამხდელთან მიმართებაში, საგადასახადო ტვირთის კატეგორია ასახავს გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავლიდან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების წილს. როგორც წესი, ამ მაჩვენებლის გამოთვლა წარმოებს ყველა დარიცხული გადასახადების ჯამის შეფარდებით საქონლის (სამუშაოს, მომსახურების რეალიზაციის მოცულობასთან, სხვა რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ჩათვლით). ზოგჯერ, უფრო მეტი სიზუსტისთვის, ფისკალური შენატანების შემადგენლობაში ჩაირთვება სახელმწიფო ფონდების შენატანებიც.

როგორც წესი, საგადასახადო შენატანების ყველაზე მაღალი დონით ხასიათდებიან ალკოჰოლური ნაწარმის (ღვინო-არაყი) მწარმოებელი საწარმოები, ვინაიდან ამ პროდუქციის ღირებულებაში მნიშვნელოვანი ნაწილი აქციზს უჭირავს. საგადასახადო შენატანების მაღალი დონეა ნავთობპროდუქტების მწარმოებელ საწარმოებშიც, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირეა.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე – ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა. ხშირად ქვეყნდება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ, რაც დაბალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც უფრო ნაკლებია გადასახადები მით მეტია ეკონომიკის ზრდის ტემპი. ამ მოსაზრების

პრაქტიკული რეალიზაციის მაგალითებისა და დინამიკის გადამოწმება ერთობ რთულია, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა სხვა ბევრ ფაქტორზეცაა დამოკიდებული, გარდა ამისა, ძლიერ დაბალი გადასახადების ქვეყნების გამოცდილება ფაქტობრივად არ მოიპოვება, შესაბამისად, მსჯელობა მხოლოდ თეორიულ ასპექტშია შესაძლებელი, თუმცა უდავოა, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემა და არაკაბალური გადასახადები ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად მოქმედებს.

საგადასახადო სისტემის მეორე ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს საშინაო და საგარეო ვაჭრობიდან საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ძირითადად ახორციელებენ მზა პროდუქციის ექსპორტს, საექსპორტო გადასახადები უმნიშვნელოა, ხოლო ბიუჯეტის ძირითად შენატანებს ქვეყნის შიგნით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების დაბეგვრა წარმოადგენს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, საექსპორტო ნედლეულზე დაწესებული საბაჟო გადასახადების ხარჯზე, დიდია საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების წილი. საშინაო და საგარეო ვაჭრობიდან საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა მაღალგანვითარებულ ევროპის ქვეყნებში 1:1, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (რომელთა ექსპორტშიც ჭარბობს ნედლეული) – 2:1 შეადგენს.

საგადასახადო სისტემის პრინციპები წარმოადგენენ იმ ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელზედაც აიგება ამა, თუ იმ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა. ამასთან, საგადასახადო სისტემის პრინციპები არაა მუდმივი და შეიძლება შეიცვალოს, იმის მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების სიდიდე, საზოგადოებაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი და ა. შ.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემათა ჩამოყალიბება სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით მოხდა. გადასახადების სახეების, მათი სტრუქტურის, ამოღების წესების, განაკვეთების,

ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ფისკალური უფლებამოსილების, საგადასახადო ბაზის, გადასახადების მოქმედების სფეროს, საგადასახადო შეღავათების მიხედვით განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება.

ამასთან, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემებს გააჩნიათ საერთო თავისებურებებიც, კერძოდ:

- საგადასახადო სისტემები ეყრდნობა ეკონომიკური თეორიის ისეთ ცნობილ პრინციპებს, როგორცაა: საგადასახადო დაბეგვრის თანასწორობა, სამართლიანობა, ეფექტიანობა;
- სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების გაზრდის ახალი გზების ძიება
- გადასახადები იბეგრება საქონლის მწარმოებლების, საოჯახო მეურნეობების ან კომპანიების შემოსავლის წყაროსთან;
- საგადასახადო დაბეგვრას ექვემდებარება საოჯახო მეურნეობის, ან მათი წევრების შემოსავლები, საბოლოო მომხმარებელთა ხარჯები, საცალო ვაჭრობის შემოსავლები, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავლები, სამეწარმო შემოსავლები საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით, შრომის ანაზღაურების ფონდი, მოგება, ხელფასი, დანაზოგები, დივიდენდები.

განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს გადასახადების შემდეგი ძირითადი სახეები:

1. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;
2. იურიდიულ პირთა საშემოსავლო (მოგების) გადასახადი;
3. ბრუნვის გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი,
4. გაყიდვიდან გადასახადი);
5. სოციალური დაზღვევის ფონდებში შენატანები;
6. მოხმარებაზე განსაკუთრებული სახის გადასახადები;
7. გადასახადები, რომელთა დაბეგვრის ბაზაა დაგროვილი სიმდიდრე (ქონების გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი)

გადასახადები იყოფა პირად და რეალურ გადასახადებად. პირადი გადასახადები ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ფინანსურ მდგომარეობას და მის გადახდისუნარიანობას, ხოლო რეალური გადასახადებით იბეგრება საქმიანობა, ან საქონელი, ე. ი. გაყიდვა, ყიდვა ან ქონების ფლობა (საკუთრება). გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, რეალური გადასახადით შეიძლება დაიბეგროს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. პირადი გადასახადით იბეგრება მხოლოდ მოსახლობის შემოსავალი.

ამერიკელი ეკონომისტის, ჯოზეფ სტიგლიცის აზრით, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია საგადასახადო სისტემის 5 ძირითადი კრიტერიუმი:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა - საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს რესურსების ეფექტიანად განაწილებასთან;
2. ადმინისტრაციული სიმარტივე - ადმინისტრაციული სისტემა უნდა იყოს მარტივი და გამოსაყენებლად შედარებით იაფი;
3. მოქნილობა - შეეძლოს ცვალებად ეკონომიკურ პირობებზე სწრაფი რეაგირება;
4. პოლიტიკური პასუხისმგებლობა - საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ადამიანებს სჯეროდეთ, რომ ისინი იხდიან მათი ინტერესების დაცვისთვის;
5. სამართლიანობა - საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს საზოგადოების სხვადასხვა წევრის მიმართ.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით საგადასახადო სისტემების შესადარებლად და მათი ეფექტიანობის შესაფასებლად მიზანშეწონილია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორცაა „ვალდებულებათა შეფარდებითი თანასწორობა, ეკონომიკური ნეიტრალურობა, ორგანიზაციული სიმარტივე, მოქნილობა და გადამხდელების მხრიდან გადასახადების გაკონტროლება.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში საგადასახადო სისტემით უკმაყოფილება და მისი მწვავე კრიტიკა უპირატესად გამოწვეულია გადასახადების

სამართლიანობის დეფიციტით, კერძოდ იმით, რომ ეს გადასახადები ხშირ შემთხვევაში არასამართლიანად არის მიჩნეული.

ძალიან ძნელია ნებისმიერი სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის სამართლიანობისა, თუ უსამართლობის ზუსტად განსაზღვრა. ცნობილია სამართლიანობის ორგვარი გაგება: ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

ჰორიზონტალურად სამართლიან საგადასახადო სისტემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანები გადასახადებით ერთნაირად, თანაბრად იბეგრებიან. ის საგადასახადო სისტემა, რომელიც ეწევა ადამიანთა დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, თუ სარწმუნოების მიხედვით, არასამართლიანი და მიუღებელია. ამასთან საყურადღებოა, რომ ჰორიზონტალური თანასწორობა პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელია. არ მოიძებნება ორი ყოველმხრივ ერთნაირ პირობებში მყოფი ადამიანი, რომელთა მიმართ საგადასახადო დაბეგვრაში სამართლიანობის პრინციპი სრულყოფილად იქნება დაცული. მხედველობაში გვაქვს ასაკის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის სხვადასხვაობა.

მაგალითად, 65 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეს გადასახადებში შეღავათები ეძლევა, რასაც მოკლებული არიან ახალგაზრდები. ორივე მოქალაქე, რომელთაც ერთნაირი შემოსავლები აქვთ, ოჯახის შექმნის შემდეგ უფრო მეტ გადასახადს იხდის, ვიდრე ქორწინებამდე იხდიდა. სხვა თანაბარ პირობებში რამდენად სამართლიანი იქნება ერთნაირი შემოსავლების მქონე ქალი და კაცი ერთნაირად დაიბეგროს? სოციალური დაცვის თვალსაზრისით, სამართლიანობის პრინციპის გამოყენებას ისიც ართულებს, რომ მსოფლიოში ქალები საშუალოდ მამაკაცებზე დიდხანს ცოცხლობენ, და შესაბამისად, მათი საპენსიო ასაკის ხანგრძლივობაც მეტია, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს საპენსიო სახსრების რეზერვში მეტი ოდენობით მოზიდვას. ძნელია ეს პრობლემა ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპით გადაწყვიტო.

თუ საგადასახადო დაბეგვრის ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, ერთიანი მახასიათებლების მქონე პირები გადასახადებით ერთნაირი დონით იბეგრებოდეს, ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპის თანახმად, ერთი ადამიანი

თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე მეტ გადასახადს უნდა იხდიდეს, ვიდრე მეორე. ამ შემთხვევაში ახალი პრობლემები წამოიჭრება: აუცილებელია განისაზღვროს ვინ უნდა გადაიხადოს გადასახადი უფრო დიდი განაკვეთით. ეს პრობლემა კანონით უნდა იყოს დარეგულირებული.

იმის განსაზღვრად თუ ვინ რა დოზით გადაიხადოს გადასახადი, მსოფლიო პრაქტიკა იყენებს ზოგად კრიტერიუმებს, მათ შორის: ადამიანთა ერთ ჯგუფს გადასახადის გადახდის მეტი შესაძლებლობა აქვს, მეორე ჯგუფი ფლობს ეკონომიკური კეთილდღეობის მეტ შესაძლებლობას, ხოლო მესამე ჯგუფი საერთო სახელმწიფო ხარჯებიდან მეტ შემოსავალს იღებს.

მაგალითად: ფიზიკური პირი, აქვს რა უკეთესი ეკონომიკური პირობები, ვალდებულია მეტი გადასახადი გადაიხადოს. პრობლემაა ის თუ, როგორ განვსაზღვროთ ვის აქვს უკეთესი ეკონომიკური პირობები. საგადასახადო სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს კეთილდღეობის განმსაზღვრელი ვიწრო, კონკრეტული გაგება, და არა მოვლენათა და საერთო მდგომარეობის შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება წინასწარ დადგენილი უსამართლობის აღიარება.

ეს სიტუაცია შეიძლება შევადაროთ, მაგალითად, ვალდებულებებისა და მოთხოვნების განაწილებას უშუალოდ ოჯახში. ამ შემთხვევაში, შეიძლება კონკრეტულად შევაფასოთ ოჯახის როგორც საჭიროებები, ისე შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, ოჯახის პირობებში უფრო ადვილად შეიძლება ამის გაკეთება, ვიდრე საერთოდ მთლიანად სახელმწიფოს მასშტაბით, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო სრულ ინფორმაციას ვღებულობთ, ვიდრე მთლიანად სახელმწიფოს შესახებ. ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირება უნდა დაეყრდნოს მოთხოვნას, როგორც საგადასახადო დაბეგვრის საფუძველს.

საგადასახადო დაბეგვრის სფეროში მოქალაქეთა თანასწორობა არ ნიშნავს იმას, რომ გადასახადები დიფერენციაციას არ უნდა დაექვემდებაროს. ჯერ ერთი, გადასახადების

დიფერენციაცია ხდება მკაფიო კრიტერიუმების შესაბამისად და, მეორე, ეს კრიტერიუმები დაკავშირებულია ინდივიდების ქცევის შედეგებთან.

ასე რომ, სასურველია გადასახადების დიფერენციაცია მოვახდინოთ ინდივიდების მიერ საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი უპირატესობის მინიჭების შესაბამისად. ასეთი დიფერენციაცია არ ეწინააღმდეგება თანასწორობის იდეას.

გადასახადები თავისთავად განასახიერებს ფინანსურ ურთიერთობათა იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფულადი შემოსავლების ფორმირებასთან, რაც აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად. გადასახადები წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას, ვინაიდან განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნის ზრდით, რომელსაც მიყვავართ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი მახასიათებლების შემცირებამდე, როგორცაა პირადი მოხმარება და ინვენსტიციები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოშობს წარმოებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას, მასზე საპასუხო რეაქცია კი ერთობლივი მიწოდების კლებაა. სამართლიანია საწინააღმდეგო მტკიცებაც, იმის თაობაზე, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირებას მიყვავართ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლის ზრდასთან. ამასთან დაკავშირებით მართლზომიერია ველოდოთ პირადი მოხმარების, დანაზოგისა და ინვენსტიციების ზრდას. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა გამოიწვევს ერთობლივი მიწოდების ზრდას, ასევე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობის ზრდასაც. ამრიგად, გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც „გადახურებული“ ეკონომიკის ზრდის ან „გაგრილების“, ან დეპრესიული ეკონომიკის გამაცოცხლებელი ინსტრუმენტი.

გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დარგობრივი ეკონომიკის დარგობრივი, შიდადარგობრივი, დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი პროპორციების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი. საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება დადგინდეს შემდეგი სახის შეღავათები:

- გადასახადით დაბეგვრის ობიექტის დაუბეგრავი მინიმუმი;

- გადასახადის ობიექტის განსაზღვრული ელემენტების ამოღება დაბეგვრიდან;
- ცალკეულ პირთა, ან გადანხდელთა კატეგორიის განთავისუფლება გადასახდების გადახდისაგან;
- საგადასახადო განაკვეთების შემცირება;
- საგადასახადო სარგოდან დაქვითვა (საგადასახადო გადასახდელი საანგარიშო პერიოდში);
- მიზნობრივი საგადასახადო შეღავათების დაწესება, საგადასახადო კრედიტების ჩათვლით (გადასახადების აკრეფის გადავადება);
- სხვა საგადასახადო შეღავათები

საგადასახადო შეღავათების გამოყენებით შესაძლებელია ეროვნული მეურნეობის რეგიონებისა და დარგების განვითარების სტიმულირება, ან პირიქით, შეფერხება. საგადასახადო სისტემების მეშვეობით, აგრეთვე შესაძლებელია მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა (ან შეზღუდვა), მოსახლეობის ცალკეული ფენების დასაქმების ზრდა, საქველმოქმედო საქმიანობის გაფართოება სოციალურ-კულტურული და გარემოს დაცვის სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას. საქართველოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო პოლიტიკის გატარების მწყობრი კონცეფცია, რის გამოც მუდმივი ცვლილებები, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობაში შედის, ხშირად „წუთიერ“, კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს, რომელიც შემდეგში ქვეყანაში წარმოების დაცემის, სოციალური პოლიტიკის კრახისა და სხვა ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს. ამავდროულად აუცილებელია აღინიშნოს, რომ საგადასახადო პოლიტიკა ცხადია „პანაცეა არაა ყველა უბედურებისა“, არამედ იგი ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფოს მართვის არსენალში.

თავი II. საქართველოს საგადასახადო სისტემის ტრანსფორმაცია ეკონომიკის რეფორმირების პროცესში

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი მიიღეს 1997 წელს. იმ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედებდა 12 საერთო-სახელმწიფოებრივი და 7 ადგილობრივი გადასახადი, კერძოდ:

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნებოდა:

1. საშემოსავლო გადასახადი
2. მოგების გადასახადი
3. დამატებული ღირებულების გადასახადი
4. აქციზი
5. ქონების გადასახადი
6. მიწის გადასახადი
7. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი
8. გადასახადი ქონების გადაცემისათვის
9. სოციალური გადასახადი
10. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით გარემოს სარგებლობისათვის
11. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის
12. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის

ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნებოდა:

1. გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისთვის
2. სათამაშო ბიზნესის გადასახადი
3. საკურორტო გადასახადი
4. სასტუმროს გადასახადი
5. რეკლამის გადასახადი

6. მანქანების პარკირების გადასახადი
7. გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის

დამატებითი ღირებულების გადასახადი

1993 წელს ბრუნვისა და გაყიდვების გადასახადები შეიცვალა დამატებითი ღირებულების გადასახადით. რის შედეგადაც დღგ-ს წილი საგადასახადო შემოსავლებში გაიზარდა 25% მდე, რაც იმ პერიოდისათვის შეადგენდა მშპ-ს 1%. დღგ-ს როლი ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში სწრაფად იზრდებოდა: 1994 წ. მისი წილი საგადასახადო შემოსავლებში გაიზარდა 40,4%-მდე, რაც მშპ-ს 1,2% შეადგენდა; 1995 წელს დღგ შეადგენდა 44,3% (მშპ-ს 1,7%; 58,5 მლნ ლარი), 1996 წელს 42,1% (მშპ-ს 2,4%; 124 მლნ ლარი), ხოლო 1997 წელს 63% (მშპ-ს 4,1%; 264 მლნ ლარი).

1996 წლიდან დღგ-ს განაკვეთი შეადგენდა 20% (კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). დსთ-ს ქვეყნებს გარეთ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეექსპორტი იბეგრებოდა 0%-იანი განაკვეთით, თუმცა 1997 წლისთვის იმპორტზე უნიფიცირებული 20%-იანი განაკვეთი შემოიღეს (იმპორტირებულ ხორბალზე 10%); იმპორტის ზოგიერთი სახეობა, მათ შორის ბავშვის საკვები, წარმოებისათვის საჭირო მასალა და დანადგარები, რომლებიც შემდგომში ექსპორტისთვის გამოიყენებოდა, განთავისუფლებულები იყვნენ დღგ-ს გადასახადისაგან. დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული საქონელი იბეგრებოდა დღგ-თი, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი არა (ბენზინის გამოკლებით).

1996-1997 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა დღგ-ს გადასახადისაგან განთავისუფლებული საქონლის რაოდენობა. იმ დროინდელი ხელისუფლების მთავარ პრობლემას წარმოადგენდა გადასახადისაგან თავის არიდება და კორუფცია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა დღგ-ს ეფექტურობას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია საქართველოს იმჟამინდელ საგადასახადო სისტემაში, რომლის წილი საგადასახადო შემოსულობებში 1993 წ. 40% მდე აღწევდა. 1993 წლის შემდგომ მისი წილი საგადასახადო შემოსულობებში მცირდებოდა, ასე მაგალითად: 1994 წ. 28% (მშპ-ს 0,8%), 1995წ 21,7% (მშპ-ს 0,8%; 28 მლნ ლარი), 1996 წ. 11,3% (მშპ-ს 0,6%; 33 მლნ ლარი) და 1997 წ. 3,8% (მშპ-ს 0,4%; 24 მლნ ლარი).

მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი იყო კომპანიის საბალანსო მოგება, რომელიც წარმოადგენდა შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. მცირე ფირმებში, რომელთა ფართობი 20კვ.მ-მდე შეადგენდა, რომლებიც არ აწარმოებდნენ ბუღალტრულ ანგარიშგებას, 1995-1996 წლებში დღგ-ს და მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდებოდა ფიქსირებული გადასახადის სახით, რომელიც დამოკიდებული იყო ფირმის შენობის ფართობზე. მაგ: 156 ლარი 12 კვ.მ და 12 ლარი ყოველ დამატებით კვ მეტრზე.

1993 წელს, მოგების გადასახადის საბაზისო განაკვეთი 20% შეადგენდა, მათ შორის 10% განაკვეთი საწარმოო და სამშენებლო კომპანიებისათვის და 35% საბანკო და სადაზღვეო კომპანიებისათვის. მოგების გადასახადის აკრეფა ძირითადად ხდებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კომპანიებისგან. 1997 წლიდან ფიქსირებული გადასახადი გაუქმდა და ყოველი იურიდიული პირი მოგების 20%-იანი განაკვეთით იბეგრებოდა. ასევე სავალდებულო გახდა ბუღალტრული ანგარიშგების წარმოება.

1995 წელს ახალი საწარმოები განთავისუფლებულები იყვნენ მოგების გადასახადისაგან პირველ წელს, ხოლო მეორე წელს იბეგრებოდნენ არსებული განაკვეთის 50%-ით. 1996 წ. ბიუჯეტის დამტკიცებისას ყველა შეღავათი გაუქმდა, გარდა:

- პროტეზისა და ორთოპედიული ფეხსაცმლის წარმოება
- სამედიცინო ტექნიკა, რომელთა მიზანი ინვალიდების რეაბილიტაცია წარმოადგენდა

- საპატრიარქოს მიერ წარმოებული საეკლესიო ნივთების გაყიდვა

აღნიშნული პროდუქცია არ იბეგრებოდა მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის აღება ყველაზე პრობლემატური იყო, ყველა გადასახადს შორის. 1995 წ. აკრიფეს დაგეგმილი საგადასახადო შემოსულობების (მოგების გადასახადი) 82%, 1996წ. 57,3%. ყველაზე მეტად ზარალდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტები, რომლებთანაც უნდა გადარიცხულიყო მოგების გადასახადის 50%, 1997 წელს კი 60%.

1996 წლის მდგომარეობით დარეგისტრირებული იყო 60 000 იურიდიული პირი, რომელთაგან მხოლოდ 50%-ს შეეძლო მოგების გადასახადის გადახდა. ფირმების კონტროლს ართულებდა ის ფაქტიც, რომ მათი ოპერაციების დიდი ნაწილი მიმდინარეობდა ბარტერის ან ხელზე ანგარიშსწორების გზით. შესაბამისად 90-იან წლებში საგადასახადო სისტემა ორიენტირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ორგანიზაციების დაბეგვრაზე და არა კერძო სექტორის. კერძო სექტორში სუსტად იყო განვითარებული ბუღალტრული ანგარიშგება, რაც ამლევდა მათ გადასახადისაგან თავის არიდების საშუალებას.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის სპეციფიკა განპირობებულია მოსახლეობის ლეგალური შემოსავლების და სხვა საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპით. 1994 წ. საშემოსავლო გადასახადის წილი საგადასახადო შემოსულობებში შეადგენდა 8,2% (მშპ-ს 0,2%), 1995 წ. 15,8% (მშპ-ს 0,6%; 20 მლნ ლარი), 1996 წ 14,8% (მშპ-ს 0,9%; 43 მლნ ლარი), ხოლო 1997 წ. 8,2% (მშპ-ს 0,5%; 35 მლნ ლარი). იმჟამინდელი ხელისუფლება თვლიდა, რომ ლეგალური შემოსავლების საპროგნოზო ზრდის კვალობაზე, ამ გადასახადის როლი კიდევ უფრო გაიზრდებოდა ბიუჯეტში.

არსებობდა რიგი პრობლემები საშემოსავლო გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებით. 1995 წ. აკრეფილი საშემოსავლო გადასახადის რაოდენობა შეადგენდა, დაგეგმილი საშემოსავლო გადასახადის შემოსულობების 129,1%, მაშინ როცა 1996 წ.

მხოლოდ 91%-ს. საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ბაზას წარმოადგენდა ფიზიკური პირის წლიური შემოსავალი, რომელიც შეიცავდა სახელფასო შემოსავლებს, დამატებით სამუშაოდან მიღებულ შემოსავლებს, სახელშეკრულებო სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავლებს, და ფიზიკური პირების მიერ სამეწარმეო საქმიანობისგან მიღებულ შემოსავლებს.

ფიზიკური პირების დაბეგვრა ხორციელდებოდა:

- ფიზიკური პირების მიერ წარდგენილი დეკლარაციებით
- საგადასახადო ორგანოების მიერ ჩატარებულ შემოწმებებზე დაყრდნობით
- ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზზე დაყრდნობით

1995-1996 წლებში ხშირად იცვლებოდა გადასახადების განაკვეთები. 1997 წ. შემოიღეს საშემოსავლო გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

ცხრილი № 2.1

ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	გადასახადის განაკვეთი
200 ლარამდე	დასაბეგრი შემოსავლის 12%
201-დან 350 ლარამდე	24 ლარი + 200 ლარს ზევით შემოსავლის 15%
351-დან 600 ლარამდე	46,5 ლარი + 350 ლარს ზევით შემოსავლის 17%
601 და მეტი ლარი	89 ლარი + 600 ლარს ზევით შემოსავლის 20%

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი 20.07.1997

საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდებოდა გაცემისთანავე, საგადასახადო აგენტის მიერ, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესის მიხედვით. საშემოსავლოს დეკლარაცია წარედგინებოდა მომდევნო კალენდარული წლის 1 აპრილამდე.

ამ პერიოდში რეალური საშემოსავლო გადასახადის, მხოლოდ 40%-მდე აღება ხორცილედებოდა. ეს იყო განპირობებული როგორც საგადასახადო სისტემის დაბალი ეფექტურობით, მოსახლეობის დაბალი შემოსავლებით, ასევე იმით რომ მოსახლეობაში პოპულარული იყო ბარტერული გაცვლები.

აქციზი

1994 წლისთვის აქციზით ბიუჯეტში მოზიდული სახსრები, საგადასახადო შემოსულობების მიხედვით შეადგენდა, მხოლოდ 8% (მშპ-ს 0,2%), 1995 წ. 2% (მშპ-ს 0,1%; 2,7 მლნ ლარი), 1996 წ. 4,6% (მშპ-ს 0,3%; 13,7 მლნ ლარი), ხოლო 1997 წ 12,4% (მშპ-ს 0,8%; 51,9 მლნ ლარი). 90-იან წლებში აქციზის გადასახადის როლი სულ უფრო მეტად იზრდებოდა, იმპორტის ზრდის კვალობაზე.

აქციზის ასეთი ზრდა განპირობებული იყო საგარეო ვაჭრობის ზრდით და 1996 წ. ჩატარებული რეფორმით, რომელმაც გაზარდა აქციზის აკრეფის ეფექტურობა. მაგ: 1996 წ. აქციზის შემოსულობების რაოდენობა , აქციზის საპროგნოზო მოცულობის 461% შეადგენდა. 1997 წ. აქციზის გადასახადში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, აქციზის განაკვეთი ალკოჰოლურ სასმელზე შემცირდა 100%-დან, 50% მდე, შამპანური 100%-დან 20%-მდე, ლუდი 100%-დან 15%-მდე, თამბაქოს დაბეგვრა 100%-დან, 55% მდე.

საწარმოთა ქონების გადასახადი

საწარმოთა ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იყო მოცემული საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები. დაბეგვრის

განაკვეთი იყო 1%, საინვენტარიზაციო ღირებულებისაგან. საგადასახადო შემოსულობები ნაწილდებოდა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის.

1997 წ. საგადასახადო კოდექსის ცვლილებების მიხედვით აგრარულ ზონებში განლაგებულ ობიექტებზე გადასახადი შემცირდა 40%-ით, ხოლო ცენტრალურ მოედნებსა და მთავარ მაგისტრალებთან ახლოს განლაგებულ ობიექტებზე გაიზარდა არაუმეტეს 30%-ით.

სავაჭრო და მომსახურების ობიექტებზე დამტკიცებული იყო ფიქსირებული გადასახადები. თვეში 13 ლარი 10 კვ.მ-მდე ფართზე და ყოველ დამატებით 1 კვ.მ-ზე 1 ლარი, მაქსიმუმ 20 კვ.მ.

რადგან ამ პერიოდის საქართველოში არ არსებობდა ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სტანდარტები, იქმნებოდა ქონების შეფასებასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა. მაგალითად: საწარმოებში გამოიყენებოდა ისეთი დანადგარები, რომლებიც წესით დიდი ხანია უკვე ჩამოწერილი უნდა ყოფილიყო.

ფიზიკური პირების ქონების გადასახადი

შენობებზე გადასახადის განაკვეთი იყო მათი საინვენტარიზაციო ღირებულების 0,1%, სატრანსპორტო საშუალებების დაბეგვრის საბაზისო განაკვეთი შეადგენდა 0,2%-ს და იცვლებოდა ძრავის სიმძლავრის მიხედვით. გადასახადის გადახდა ხდებოდა წლიურად.

შენობებსა და ნაგებობებზე გადასახადისაგან თავისუფლდებოდა:

- პენსიონრები
- სამხედროები
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად დაინვალიდებული პირები და მათი ოჯახის წევრები
- ააგრარულ ზონებში განლაგებული შენობა-ნაგებობები

მიწის გადასახადი

1997 წლის საგადასახადო კოდექსით მიწის გადასახადის გადამხდელები იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ჰქონდათ მიწის ნაკვეთი. მიწის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

დასაბეგრი მიწის ფართობი მოიცავდა შენობა-ნაგებობებით დაკავებულ, ასევე მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობების სანიტარიულ-ტექნიკურ ზონას, თუ ის არ იმყოფებოდა სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სარგებლობაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებული იყო ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და დგინდებოდა ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთები დგინდებოდა მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში 0,24 ლარის ოდენობით. მიწის ერთჯერადი გადასახადი ყველა კატეგორიის მიწათსარგებლობისთვის ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ახალი მიწის გამოყოფისას განისაზღვრებოდა გადასახადის განაკვეთის არა უმეტეს ორმოცდაათმაგი ოდენობით. მიწის ერთჯერადი გადასახადი ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მიწის ნაკვეთით დროებითი სარგებლობისათვის, აგრეთვე მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლების გადაცემისას (მემკვიდრეობით გადაცემის გარდა) განისაზღვრებოდა გადასახადის განაკვეთის არა უმეტეს ათმაგი ოდენობით.

გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადგილობრივი ორგანოები საგადასახადო ორგანოებს საანგარიშო წლის 1 მარტისათვის წარუდგენდნენ გადამხდელთა სიებს მიწის ფართობისა და გადასახადის განაკვეთის ჩვენებით. საგადასახადო ორგანოები დარიცხული გადასახადების შესახებ საგადასახადო შეტყობინებას გადამხდელებს აბარებდნენ საანგარიშო წლის 1 ივნისისათვის. მიწის გადასახადი გადაიხდებოდა საანგარიშო წლის 1 ნოემბრამდე. ამასთან, იჯარით გაცემულ სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადახდის კონკრეტული ვადა განისაზღვრებოდა იჯარის ხელშეკრულებით, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშო წლის 1 ნოემბრისა.

გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

გადასახადი შემოიღეს 1992 წ. თუმცა 1996 წელს მოხდა ცვლილებები, რომლებიც აისახა 1997 წ-ის საგადასახადო კოდექსში. გადასახადის გადამხდელად ითვლებოდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოში ეწეოდნენ „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ 1996 წ-ის კანონით რეგულირებად სამეწარმეო საქმიანობას, ასევე:

- თავისი საქმიანობით დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან აბინძურებდნენ გარემოს
- დაბინძურების მოძრავ წყაროებზე ახორციელებდნენ ბენზინისა და დიზელის საწვავის საცალო რეალიზაციას

მავნე ნივთიერებათა გარემოში გამოფრქვევის (წყალში ჩაშვების) ლიმიტად ითვლებოდა ყოველ კალენდარულ კვარტალზე გადასახადის გადამხდელთათვის დადგენილი გაფრქვეულ (ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებათა მასა. ლიმიტების პროექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამუშავებდნენ გადამხდელები და დასამტკიცებლად წარუდგენდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალურ ორგანოებს. დაბინძურების მსხვილი სტაციონარული ობიექტებისათვის

ლიმიტებს ამტკიცებდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები. დაბინძურების მსხვილი სტაციონარული ობიექტების ჩამონათვალს შეიმუშავებდა და ამტკიცებდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. გარემოს დაცვის რეგიონალურ ორგანოებთან შეთანხმებით, გადამხდელები ახორციელებდნენ გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებებზე წლიური ლიმიტის გაყოფას კვარტალურ კვოტებად, ოთხ თანაბარ ნაწილად ან თავიანთი საწარმოო გეგმების შესაბამისად. გადამხდელები ვალდებული იყვნენ საანგარიშო წლის დაწყებამდე საგადასახადო ორგანოებისთვის წარედგინათ კვარტალების მიხედვით დამტკიცებული წლიური ლიმიტი.

გადასახადი ბუნებრივი რესურსებით გარემოს სარგებლობისათვის

გადასახადის მიზანი იყო ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპის დამკვიდრების გზით გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის ჩარიცხვის გზით ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებისა და დაცვის ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იყო საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) გარემოდან ამოღებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

- მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა
- გარემოდან ამოღებული ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსების მოცულობა
- გარემოდან ამოღებული სოჭის გირჩების მოცულობა
- გარემოდან ამოღებული წყლის რესურსების მოცულობა
- გარემოდან ამოღებული ცხოველთა სამყაროს რესურსების მოცულობა

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი გადაიხდებოდა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის რესურსების გადასახადი გადაიხდებოდა შესაბამისი წლის 1 დეკემბრამდე.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სწორედ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული პირველი საგადასახადო კოდექსი (1997წ.) საქართველოში შექმნილ სიტუაციას არ ასახავდა, როცა საქართველოში ქვეყნის მთავრობა ვერ აკონტროლებდა ქვეყნის მთელ ტერიტორიას (კონტრაბანდული საქონლის შემოდინების არხებით). აღნიშნულს თან დაერთო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალისხმევით რამდენიმე წლის განმავლობაში საგადასახადო კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილება და დამატება, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ეს – ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სრულიად არეულ–დარეულ და კორუფციის ხელშემწყობ დოკუმენტად გადააქცია.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის საქართველოს საგადასახადო სისტემა და საკანონმდებლო ბაზა გამოირჩეოდა დაბალი ეფექტურობით, რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით: კორუფციის მაღალი დონე, მოუწესრიგებელი და კერძო ინტერესებზე მორგებული საგადასახადო კოდექსი, გადასახადების დიდი რაოდენობა, გადასახადებით დატვირთვის მაღალი დონე, საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების დაბალი ეფექტურობა, გადასახადებიდან თავის არიდების მაღალი დონე, პარალელურად მასიურმა „უფასო პრივატიზაციამ“ ადამიანთა ვიწრო ჯგუფებს საშუალება მისცა მსხვილი საწარმოები უაღრესად დაბალ ფასებში შეეძინათ, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის აუცილებელი ფინანსური რესურსების გარეშე დატოვება, შრომის ანაზღაურების, პენსიებისა და სტიპენდიების გაყინვა და კუპონის მკვეთრი გაუფასურება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის გადასახადების სტრუქტურა საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების დღიდან გამუდმებით განიცდიდა ცვლილებებს და თვისებრივად ახლებურად ყალიბდება. ზოგადად ცნობილია, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმულირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი,

საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მეწარმეთათვის, მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს. არ შეიძლება უგულვებელყოფა იმისა, რომ გადასახადები განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერკეტია და მისი თეორიულ-მეცნიერული არგუმენტების გარეშე, მექანიკური გამოყენებით სუსტდება ფინანსები, ფული და საერთოდ ეკონომიკა. იგი ხდება წარმოებისა და საბოლოო ჯამში კი ეკონომიკის დამამუხრუჭებელი ფაქტორი.

საქართველოს საგადასახადო სისტემა სხვადასხვა სახის გადასახადებს მოიცავს. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. გადასახადები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. პირდაპირი გადასახადები უშუალოდ შემოსავალზე, ან ქონებაზე (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა) წესდება. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება ისეთი გადასახადები რომლებიც შედის საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფებში. საქონლის მფლობელს ბიუჯეტში მისი რეალიზაციიდან მიღებული გადასახადი შეაქვს (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა). ამ ნიშნით გადასახადების კლასიფიკაცია რამდენადმე რთულია იმის გამო, რომ კორპორაციებზე დაკისრებული გადასახადები ფორმალურად პირდაპირია, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილი ფასში შეიტანება და მომხმარებელს ამ გზით გადაეკისრება.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში, სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების გაფართოების პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოციალური დაზღვევის მიზნობრივ შენატანებს, რაც ქმნიდა – სოციალური დაზღვევის, დასაქმებისა და სამედიცინო დაზღვევის სპეციალურ ფონდებს, ისინი თავისი არსით მიზნობრივ გადასახადებს წარმოადგენდნენ.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ფონდი, ცალკეულ სახეებად იყოფა, იმის მიხედვით, ვინ არის გადასახადის ამომღები და მიღებული შემოსავლების განმკარგავი. ასევე, არჩევენ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს. გადასახადები, მათი გამოყენების მიხედვით, შეიძლება დაიყოს: საერთო და სოციალურ (მიზნობრივ) გადასახადებად. საერთო გადასახადი წარმოადგენს ზოგად

გადასახადს და სახელმწიფო ხაზინაში შედის. სოციალურ (მიზნობრივ) გადასახადებს გარკვეული მიზნობრივი დანიშნულება გააჩნიათ და უპირატესად სხვადასხვა ბიუჯეტგარეშე ფონდებში ჩაირიცხება. მაგალითად, აშშ-ში შემოღებულია ბენზინისა და სათბობის გადასახადი, მიღებული შემოსავალი საგზაო ფონდში შედის. ანალოგიური ნავთობის კომპანიების გადასახადი და სხვა. ამგვარად, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, ასევე, სოციალური დაზღვევის შენატანები წარმოადგენენ ძირითად წყაროებს, რომლითაც მოსახლეობის ფულადი რესურსების ნაწილი ხაზინისაკენ მიემართება.

2004 წლის დასაწყისიდან საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზული სამუშაო ჩაატარა საგადასახადო დაგეგმვის სრულყოფის მიმართულებით. ასევე, განხორციელდა საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფის რეალური ღონისძიებები, დაიხვეწა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის ლეგალიზაციას და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდის უმთავრესი პირობა გახდა. 2004 წლის დასაწყისიდან, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სწორი და რეალური შეფასება მიეცა. ხელისუფლებამ სრულიად განსხვავებული კურსის განხორციელება დაიწყო, რომლის შესაბამისადაც მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმები განხორციელდა. 2004 წლის ბოლოს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსით საგადასახადო სისტემის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც თავის მხრივ, როგორც გადასახადების რაოდენობრივ, ისე საგადასახადო განაკვეთების მნიშვნელოვნად შემცირებაში გამოიხატა.

1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული 12 საერთო-სახელმწიფოებრივი (საშემოსავლო; დღგ-ი, აქციზი, ქონების, მიწის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა, ქონების გადაცემისთვის, სოციალური, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთვის) და 7 ადგილობრივი გადასახადის, (სამეწარმეო საქმიანობისათვის,

სათამაშო ბიზნესის, საკურორტო, სასტუმროს, რეკლამის, მანქანების პარკირების, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.) ნაცვლად, 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით შემცირდა 7 საერთო-სახელმწიფო (საშემოსავლო დღგ-ი, აქციზი, სოციალური, საბაჟო.) და 2 ადგილობრივი გადასახადი (ქონების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის).

„2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და გრანტების მოცულობა 3601,4 მილიონი ლარის მოცულობით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი მობილიზებული იქნა 3773,2 მილიონი ლარი, ანუ 104,8 პროცენტი, რაც წინა – 2005 წელთან შედარებით 44,5 პროცენტით გაიზარდა. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ძირითადად საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე განხორციელდა, მაგრამ, მსგავსად 2005 წლისა, მის მატებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არასაგადასახადო შემოსავლებმა (პრივატიზებიდან მიღებულმა შემოსავლებმა), კაპიტალურმა შემოსავლებმა და გრანტებმა. საგადასახადო დეპარტამენტიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა გაიზარდა 53,5 პროცენტით, 866,4 მილიონი ლარიდან 1330,2 მილიონ ლარამდე.

ყოფილი საბაჟო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულმა საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ დაგეგმილ მაჩვენებელს – 34,4 პროცენტით გადააჭარბა. იმპორტის წინმსწრები (47,8%-ით) მატება საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურებზე აისახა: 2003–2006 წლებში საბაჟო დეპარტამენტიდან მიღებული შემოსავლების წილი 34,6 პროცენტიდან 49,5 პროცენტამდე გაიზარდა“. [ლ. ბახტაძე 2007: 1.126]

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში საბაჟო სისტემიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტენდენცია სასურველი მდგომარეობის მაჩვენებელი არ არის. ამ დროს ადგილობრივი წარმოების აქტივობა მეტად დაბალია და იგი ნელი ტემპით ვითარდება. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას ენიჭება. იგი განვითარებულ ქვეყნებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: აშშ-ში, იაპონიაში, კანადასა და ინგლისში პირდაპირი გადასახადები სჭარბობს, ხოლო საფრანგეთში –

არაპირდაპირი, გერმანიასა და იტალიაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა შედარებით დაბალანსებულია.

არაპირდაპირი გადასახადების წილი საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში 2002-2011 წლებში (მლნ. ლარი)

ცხრილი № 2.2

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საგადასახადო შემოსავლები	924	1006	1530	1983	2647	3669	4753	4359	4868	6135
დღგ	405	407	661	987	1333	1974	2069	2052	2203	2784
აქციზი	173	194	213	307	364	429	519	443	561	615
საბაჟო გადასახადი	59	81	144	124	132	52	52	36	70	93
არაპირდაპირი გადასახადების საერთო მოცულობა	636	681	1018	1418	1829	2454	2639	2531	2834	3493
არაპირდაპირი გადასახადების წილი საგადასახადო შემოსავლებში	69%	68%	67%	72%	69%	67%	56%	58%	58%	57%

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით (www.mof.ge)

როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები ძირითადად არაპირდაპირი საგადასახადო შემოსავლების ბაზაზე იზრდება. 2003–2005 წლებში აღნიშნული გადასახადების წილი 67 – 72 %-ის ფარგლებში მერყეობდა, 2006 წელს იგი ოდნავ შემცირდა (69 პროცენტამდე).

როგორც უკვე ითქვა, არაპირდაპირი გადასახადები ძირითადად განვითარებადი და ნაკლებად განვითარებადი ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. იგი ფისკალურად გაცილებით ეფექტურია: შედარებით ნაკლებ ადმინისტრირებას საჭიროებს, ბიუჯეტში რეგულარულად მიიღება, მაგრამ სოციალურად არასამართლიანია, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობისა და მათი კეთილდღეობის ხარჯზე იზრდება.

პირდაპირი გადასახადები საგადასახადო სისტემის საფუძველს წარმოადგენს, იგი საგადასახადო წნეხის სამართლიანად გადანაწილებას უწყობს ხელს. ქვეყანაში პირდაპირი გადასახადების როლის ამაღლებისთვის აუცილებელია, უპირველესად, სამეურნეო სფეროში შეიქმნას ეფექტური საგადასახადო კლიმატი, გაიზარდოს ფიზიკურ პირთა და საწარმოთა რეალური შემოსავლები, ამაღლდეს საგადასახადო კულტურა (რომელიც მოქმედებს გადასახადების ამოღების ეფექტურობაზე), სრულყოფილი გახდეს საგადასახადო კანონმდებლობა და საგადასახადო სამსახურების საქმიანობა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ერთ–ერთი მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლები, რომელიც სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით ფორმირების ძირითადი წყაროა. მის ხარჯზე 2006 წელს მობილიზებულ იქნა 2633,1 მილიონი ლარი, დაგეგმილზე 3,8 პროცენტით, წინა – 2005 წელთან შედარებით კი 43,4 პროცენტით მეტი. საგადასახადო შემოსავლების წილმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 19,1 პროცენტი შეადგინა (ნაერთ ბიუჯეტში ეს მაჩვენებელი 21,8 პროცენტს შეადგენს, წინა – 2005 წელთან შედარებით იგი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩა განვითარებულ ქვეყნებს, სადაც იგი საშუალოდ 30–45 პროცენტის ფარგლებში მერყეობს).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2000—2006 წლებში საგადასახადო შემოსავლები თოთქმის 4–5 ჯერ გაიზარდა, მაგრამ მისი წვლილი შემოსავლებსა და გრანტებში 91–დან 69,8 პროცენტამდე შემცირდა, საყურადღებოა რომ, ერთჯერადი ხასიათის შემოსავლების (კაპიტალური შემოსავლებისა და გრანტების) შემცირების შედეგად გამოწვეული

დანაკლისის შევსება გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გარეშე შეუძლებელი იქნება.

2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების გადამხდელთა საგადასახადო ტვირთი გადასახადების საგადასახადო განაკვეთების შემცირების ხარჯზე, კერძოდ კი, 2005 წლის 1 ივლისიდან დღე-ის საგადასახადო განაკვეთი- 20%-დან 18%-მდე, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი- 20%-დან 12%-მდე, ხოლო სოციალური გადასახადები ჯამში - 33%-იდან 20%-მდე შემცირდა, მოგვიანებით სსკ-ში(2004წ) შეტანილი ცვლილებებით მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-იდან 15%-მდე, ხოლო ორი გადასახადის – საშემოსავლო(12%) და სოციალური(20%) გადასახადების გაერთიანების ხარჯზე შემოღებული იქნა ერთი – საშემოსავლო გადასახადი ჯერ 25%-იანი, ხოლო შემდეგ 20%-იანი საგადასახადო განაკვეთით. ქვეყნის ხელისუფლების მიერ საგადასახადო განაკვეთების ლიბერალიზაცია მათი შემცირების თვალსაზრისით შედგომშიც გრძელდებოდა და კვლავაც გრძელდება.

საშემოსავლო და მოგების გადასახადები

საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი საშემოსავლო და მოგების გადასახადებს უჭირავს საქართველოს საგადასახადო კოდექსში ეს გადასახადები გაერთიანებულია ერთ კარში. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრას მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრის სისტემაში ერთ–ერთი ძირითადი ადგილი ეთმობა. იგი პირდაპირი გადასახადია და ცენტრალური გადასახადების რიცხვს მიეკუთვნება. ამ გადასახადით 2004 წლამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსი პროგრესული სისტემას ითვალისწინებდა, კერძოდ დაწესებული იყო საშემოსავლო გადასახადის 4 განაკვეთი წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით შემოსავლის სიდიდეზე დამოკიდებულებით – შესაბამისად 200 ლარამდე შემოსავალზე 12%-ის, 201–დან 359 ლარამდე შემოსავალზე 15%-ის, 351–დან 600 ლარამდე შემოსავალზე 17%-ის, ხოლო 601 ლარს ზევით შემოსავლებზე 20%-ის ოდენობით, 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო გადასახადით ფიზიკურ

პირთა შემოსავლების აღნიშნული პროგრესული სისტემა შეიცვალა პროპორციული სისტემით და ერთი 12%-იანი განაკვეთი დაკანონდა.

„აღნიშნული ცვლილება გადამხდელისათვის ორი დადებითი ეფექტი მოიტანა: ჯერ ერთი, გადასახადის შემცირების შესაბამისად გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი ფულადი სახსრები გაიზარდა და მეორეც, აღნიშნული გადასახადის გაანგარიშების მექანიზმი მნიშვნელოვნად გამარტივდა, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებით საგადასახადო ტვირთის სიმძიმემ ყველაზე მინიმალური ხელფასებისა და შემოსავლების მქონე პირებს განსაკუთრებულად დააწვა, რაც საგადასახადო არასამართლიანობაზე მიგვანიშნებს“. [ნ. ტერაშვილი 2006: 13.34]

ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით მიღებული ხელფასიდან საგადასახადო წლის განმავლობაში ყოველთვიურად დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლება გაუქმდა. საგადასახადო სისტემის სრულყოფის საქმეში ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად აგრეთვე 2007 წლის ივლისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და დამატებები მიიჩნევა, რომლითაც ფაქტობრივად და უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემები გადაწყდა. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნებისათვის საჭირო იყო ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისება, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდა საწარმოო დანახარჯების შემცირებით და რეინვესტირების ხელშეწყობით. ამისათვის, მნიშვნელოვან ეტაპად პირდაპირი გადასახადების განაკვეთების შემცირება ჩაითვალა. ამასთან, არსებული საშემოსავლო და სოციალური გადასახადები, თავისი ბუნებით, ანუ დაბეგვრის ობიექტის თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის იდენტური და გადასახადის გადამხდელთათვის რთული იყო ის ასევე, ბიზნესთვალსაზრისით მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. მაგალითად,

მეწარმე ფიზიკური პირისათვის იგი შეადგენდა – 29,6%-ს, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისათვის კი – 26,7%-ს.

სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე, საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი განაკვეთი (2008 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო (12%) და სოციალური გადასახადების (20%) გაერთიანების), 2009 წლის 1 იანვრიდან 20%-მდე შემცირდა, აგრეთვე ნიშანდობლივია ისიც, რომ მესამე (2010წ) საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათვალისწინებული იყო მომდევნო წლებში მისი ეტაპობრივად შემცირება, კერძოდ კი, 2013 წლიდან – 18%-მდე, ხოლო 2014 წლიდან კი – 15%-მდე.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოგების გადასახადს 2005-2011 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საერთო თანხის 10%-ზე მეტს შეადგენდა. მოგებაზე გადასახადი პირდაპირი გადასახადია, რომელიც რეზიდენტობის პრინციპზეა დაფუძნებული. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის პირობებში, საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გამუდმებით მიმდინარეობდა მუშაობა მისი ოპტიმიზაციისათვის, კერძოდ, აღნიშნული გადასახადით დაბეგვრის ობიექტის სწორად განსაზღვრის, საგადასახადო განაკვეთის შემცირებისა და საგადასახადო შეღავათების მოქნილად და რაციონალურად გამოყენებით წარმოების, ეფექტურობის განუხრელი ზრდის მისაღწევად.

მნიშვნელოვანია 2004 წ. საგადასახადო კოდექსით ძირითადი საშუალებების 100%-იანი გამოქვითვის უფლების შემოღება. აღნიშნულმა წესმა გადამხდელებს საშუალება მისცა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგება, მოგების გადასახადის გადაუხდელად მთლიანად გამოიყენონ ძირითადი საშუალებების შესაძენად, წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის მთლიანი მოგების რეინვესტირების გზით. გარკვეულწილად, ასევე წარმოების შემდგომი გაფართოებისა და ქვეყნის ეკონომიკის ზრუნვას ემსახურებოდა აგრეთვე ისიც, როცა ხელისუფლების მიერ მოგების გადასახადის საგადასახადო განაკვეთი 20-იდან 15 %-მდე შემცირდა.

არსებითად დადებითი ხასიათის ცვლილებები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების კუთხით განხორციელდა – 2010 წლის საგადასახადო კოდექსში. მიკრო და მცირე მეწარმეობის ცნებების შემოღების შედეგად, მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ბრუნვა 30 000 ლარს არ აღემატებოდა და იგი ეკონომიკურ საქმიანობაში დაქირავებულ ფიზიკურ პირთა შრომას არ იყენებდა, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭებოდა და მას ფაქტობრივად არანაირი გადასახადების გადახდა არ მოუწევდა, ხოლო იმ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა წლიური ბრუნვა 100 000 ლარამდე იყო, მათ, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა ჰქონდათ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების, რომლის მიღების შემთხვევაში აღნიშნული სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ბრუნვიდან 3%-ს გადაიხდიდა თუ, მის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 60%-ზე მას ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები ექნებოდა (გარდა დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასისა), ხოლო სხვა შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს ბრუნვიდან 5%-ის გადახდა მოუწევდა.

2010 წლის საგადასახადო კოდექსის ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ მცირე ბიზნესის სტატუსი მომგებიანი და მისაღებია მხოლოდ იმ მეწარმე ფიზიკური პირებისათვის, ვინც ეკონომიკურ საქმიანობას, ფაქტობრივად 25%-ზე მაღალი რენტაბელობის პირობებში აწარმოებს. ამასთან, აღნიშნული სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირთათვის საგადასახადო ადმინისტრირების წესებში გარკვეული შეზღუდვებია ჩადებული, ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელად ის შეზღუდვა სახელდება, რომლითაც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საგადასახადო აგენტის მოვალეობისაგან თავისუფლდება, შესაბამისად, იგი დაქირავებულ ფიზიკურ პირთათვის გადახდილი შრომის ანაზღაურების თანხიდან გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადს არ უკავებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ, აღნიშნული მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს მიერ გასული მთელი სააანგარიშო წლის განმავლობაში დაქირავებულ პირთათვის გადახდილი შრომის ანაზღაურების თანხა ჯამში, აღნიშნული მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე

ფიზიკური პირის ბრუნვის 25%-ს გადააჭარბებს, ასეთ შემთხვევაში მას პრაქტიკულად საგადასახადო აგენტის შესაბამისი სტატუსი აღუდგება და იმ საშემოსავლო გადასახადის გადახდა, რომელიც მან დაქირავებულ ფიზიკურ პირებს ხელფასის გაცემის მომენტში არ დაუკავა, პრაქტიკულად შემდგომში მას – მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეს მოუხდება, შედეგად კი ეს უკანასკნელი ცხადია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისათვის ზედმეტ და დამატებით საგადასახადო ტვირთად იქცევა.

დღგ

დამატებული ღირებულების გადასახადი, საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ერთ-ერთი ძირითადი გადასახადია და იგი შემოიღეს 1993 წლიდან. დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებასა და სახელმწიფოს საერთო-ეკონომიკურ განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ჩვენს ქვეყანაში დღგ-ს ამოღების პროცესი თავისებურებების ერთობლიობით ხასიათდება, რომელიც ეკონომიკის, ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესებისა და საქართველოს ბაზრის ფორმირების თანამედროვე პროცესებთან დაკავშირებულ რეალობას ასახავს.

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისათვის, დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებში წარმატებით გამოყენებული დღგ-ს განმაზოგადებელი კონცეფციის საფუძვლიანი შესწავლა აუცილებელია. დამატებული ღირებულების გადასახადი ირიბ მრავალსაფეხურიან გადასახადს წარმოადგენს, რომლის ძირითადი ფუნქციაც ფისკალურია. დამატებული ღირებულების გადასახადიდან შემოსული მთლიანი თანხა საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში შედის. იგი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი გადასახადია და ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„ეკონომიკური არსის მიხედვით, ეს გადასახადი წარმოებისა და მიმოქცევის სტადიაზე შექმნილი დამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას წარმოადგენს. მიმოქცევისაგან განსხვავებით, დამატებულ ღირებულების გადასახადით

იბეგრება არა მარტო მიმოქცევა, არამედ წარმოების მთელი სტადია, ანუ წარმოებისა და საქონელმომწოდების ჯაჭვში არსებული რგოლიდან ყოველი მონაწილე დამატებული ღირებულების გადასახადში მონაწილეობს.

დამატებული ღირებულება ვლინდება, როგორც სხვაობა რეალიზებული საქონლის ღირებულებაზე, წარმოებასა და მიმოქცევაზე გაწეულ დანახარჯებს შორის. იმის გამო, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის სიდიდე საქონლის ფასს ემატება, გადასახადის გადახდის წყაროს წარმოადგენს საბოლოო მომხმარებლის საშუალებები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამყიდველი საწარმოო-გამანაწილებელ ჯაჭვში გაყიდვის მომენტში, მყიდველისაგან ამ გადასახადის ამკრეფს წარმოადგენს. აკრეფილი თანხიდან ის აკრეფს დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც მან ნედლეულის, ენერჯის, და ა. შ. ყიდვის დროს თვითონ გადაიხადა, ხოლო დარჩენილ ნაწილს სახელმწიფოს გადასცემს (გადაუგზავნის.)

მაშასადამე, დამატებული ღირებულების გადასახადის ამოღება საქონლის მთელი ღირებულებიდან კი არ ხდება, არამედ მხოლოდ წარმოებისა და რეალიზაციის საერთო ჯაჭვში ყოველ სტადიაზე მისი ნამატიდან. საბოლოო ჯამში, დაბეგვრას ექვემდებარება სხვაობა კომპანიის მიერ თავისი საქონლისა და მომსახურების შედეგად ამონაგებ საერთო შემოსავალსა და დანახარჯების ჯამს შორის“[ს. ყამარაული 2010: 14.277]

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელი, როგორც გამყიდველი ნედლეულისა და მასალის გაყიდვის დროს, დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით არავითარ ეკონომიკურ დატვირთვას არ ღებულობს, რადგანაც მის კომპენსირებას საქონლის მყიდველი ახდენს.

ეკონომიკური ბუნებით, დანიშნულებითა და ამოღების ხერხების მიხედვით არაპირდაპირმა გადასახადებმა პრაქტიკაში რამდენიმე არსებითი მახასიათებელი შეიძინა. ეს გადასახადები მომხმარებელზე გადასახადებს წარმოადგენს, ისინი უკიდურესად გადატანილია, ამიტომაც ანტისოციალურ და უსამართლო გადასახადებად ითვლებიან.

ეკონომიკური არსის მიხედვით ეს გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტში დამატებული ღირებულების ნაწილის ამოღების როგორც ფორმას, რომელიც წარმოებისა და მიმოქცევის ყველა სტადიაზე იქმნება. დღგ–ს სახელწოდება გადასახადით დაბეგვრის ბაზისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის პრაქტიკას ეწინააღმდეგება. საქმე იმაშია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის ხარჯზე ფასების ნამატის მთელი თანხა საბოლოო მომხმარებელზე გადადის და ერთნაირ ტვირთად „აწვება“ როგორც ღარიბ, ასევე მდიდარ მომხმარებელს. აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავლები ძალიან დაბალია და ზრდა ან უმნიშვნელოა, ან საერთოდ მცირდება, ნათლად დავინახავთ აღნიშნული გადასახადის ანტისოციალურ და უსამართლო ხასიათს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების მთელ პერიოდში დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად გადამხდელთა სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაციის პირობები სისტემატურად იცვლებოდა. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები სამეწარმეო საქმიანობის მიმდევარი იურიდიული, ფიზიკური და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე მოქალაქეები არიან. სამეწარმეო საქმიანობის მიმდევარი ფიზიკური პირები ამ გადასახადით დაიბეგრებიან, თუ მათი სამეწარმეო საქმიანობის დასაბეგრი შემოსავალი წელიწადში შრომის ანაზღაურების თვითური მინიმალური დონის ხუთმაგ ოდენობას აღემატება.

1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით, დღგ–ის გადამხდელთა სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაციის წესები განისაზღვრა, რომლის შესაბამისადაც პირი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა და ნებისმიერი, უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში დღგ–თი დასაბეგრ ოპერაციებს ახორციელებდა, რომელთა საერთო თანხა 3000 ლარს აღემატებოდა. ვალდებული ხდებოდა ამ მომენტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში

წარედგინა განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის, ხოლო პირი რომელიც არ იყო ვალდებული რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, შეეძლო მიემართა განცხადებით საგადასახადო ორგანოსათვის დღგ-ის გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციისათვის გატარებულიყო, რის შემდეგაც მას საგადასახადო ორგანო დღგ-ის გადამხდელად დაარეგისტრირებდა.

მოგვიანებით, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დღგ-ის გადამხდელად გადასახადების გადამხდელთა სავალდებულო რეგისტრაციის ზღვარი (2000 წლის 10 აგვისტოდან) 24 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან ეს ზღვარი 100 000 ლარს შეადგენს, ამასთან დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის პირობებში დამატებით შეიტანეს ისეთი მოთხოვნები, როგორცაა: პირის ერთჯერადი, ან კიდევ ერთი დღის მოსალოდნელი შემოსავლები თუ 100 000 ლარს აჭარბებს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას აღნიშნული ოპერაციების განხორციელებამდე ითხოვს, გარკვეულად დაამძიმა გადამხდელთა მდგომარეობა სავალდებულო რეგისტრაციის პირობაში შეტანილმა იმ ცვლილებამ, რომ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში დღგ-ის დასაბეგრ შემოსავლად განიხილება არა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ განხორციელებული ოპერაციები, არამედ თვით იმ ბოლო ოპერაციიდან მიღებული შემოსავალიც, რომლითაც დღგ-ის დასაბეგრმა ბრუნვებმა ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ჯამში 100 000 ლარს გადააჭარბა.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ცვლილების შემდგომ იმის თქმა, რომ 100 000 ლარამდე დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვებით მიღებულ შემოსავლებიდან გადამხდელები დამატებული ღირებულების გადასახადისაგან მთლიანად თავისუფლდებიან, პრაქტიკულად რეალობას აღარ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დღგ-ის საგადასახადო განაკვეთი 20-იდან 18%-მდე შემცირდა, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული გადასახადებიდან საგადასახადო შემოსავლების შემოდინებაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა, აღნიშნულის

საკომპენსაციოდ ხელისუფლებამ ყოვლად გაუმართლებელი შეზღუდვა შემოიღო, კერძოდ კი ის, როგორც იყო მყიდველის (ჩათვლის) მიმღებისათვის დღგ-ის ჩათვლის მიღების შეზღუდვა დღგ-ის იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, რომლებიც მყიდველის (ჩათვლის) მიმღების მიერ ჩათვლაზე არ იქნებოდა წარდგენილი დღგ-ის საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 45 (2009 წლის 1 იანვრიდან 90) კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნულმა შეზღუდვამ პრაქტიკულად დაარღვია დღგ-ის უმთავრესი შინაარსი, რომ ის საბოლოო მომხმარებლის გადასახადია, ამ შეზღუდვის შედეგად, ჩათვლის მიღების უფლების დაკარგვის შემთხვევაში გამყიდველს, სამუშაოს/მომსახურების მიმწოდებელს პრაქტიკულად ზედმეტად (განმეორებით) უხდებოდა დღგ-ის თანხის გადახდა და იგი ჩათვლის მიმღებს ზედმეტ ტვირთად აწვებოდა.

აქციზი

„საქართველოს საგადასახადო შემოსავლების ფორმირებაში გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე აქციზის გადასახადი. ტერმინი „აქციზი“ ლათინური სიტყვიდან (ჩამოჭრა) accidere წარმოიშვა. აქციზი ირიბი დაბეგვრის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა, მას როგორც ირიბ გადასახადს, არა მარტო განსაზღვრული მსგავსება გააჩნია დღგ-სთან, არამედ განსხვავებული თავისებურებაც, რომელიც ყოველი კონკრეტული საქონლისათვის ინდივიდუალურია. მაგალითად, გერმანიაში აქციზით დაბეგვრას ექვემდებარება: სიგარეტი, ლუდი, მარილი, ჩაი, ძმარი, სათამაშო კარტები, ხოლო დასავლეთის სხვა ქვეყნებში აქციზით ჩვეულებრივ მასობრივი შიდა მოხმარების საქონელი იბეგრება.

სხვა სახის გადასახადებისაგან აქციზის განმანსხვავებელ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მისი ამოღება მხოლოდ ცალკეული საქონლიდან ხდება (პროდუქციიდან), ამ პროდუქციის ფასში აქციზის ჩართვის გზით. იგი გადასახადის ერთ-ერთი სახეა, რომელიც გამყიდველის მიერ მიღებულ შემოსავალზე არ არის დამოკიდებული. აქციზი აქციზური საქონლის ფასში შედის და ამოღება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხდება. ხშირ შემთხვევაში, სააქციზო გადასახადებით იბეგრება

ღვინისა და არყის ნაწარმი, დელიკატესი, ფუფუნების საგნები, ავტომობილები. აქციზის გადამხდელები არიან მომხმარებლები, რომლებიც სააქციზო გადასახადით დაბეგრულ საქონელს ყიდულობენ.

აქციზი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება მის ფასთან ერთად ასევე მრავალსაფეხურიანია. დღგ–ისგან განსხვავებით, აქციზი ბიუჯეტში ერთხელ გადაიხდება და პროდუქციის მთელი ღირებულების დაბეგვრა ხდება . აქციზი ორნაირ როლს ასრულებს, პირველი – ბიუჯეტის შემოსავლების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა და მეორე – მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებისა და აგრეთვე მოხმარების შეზღუდვის საშუალებაა“. [ს. ყამარაული 2010: 14.310]

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად აქციზით დასაბეგრი საქონლის მიმართ გამოიყენება როგორც საპროცენტო, ასევე მტკიცე (სპეციფიკური) განაკვეთებიც. აქციზის გადასახადის არარსებობის პირობებში აქციზური პროდუქციის მწარმოებელი საწარმო მაღალ მოგებას დაუმსახურებლად მიიღებდა და სხვა საწარმოებთან შედარებით უკეთესი პირობები შეექმნებოდა. მაგალითად, საქართველოში სპირტიანი სასმელების, სიგარეტის საცალო ფასები ისეთია, რომ ამ პროდუქციის მწარმოებლის რენტაბელობის დონე სააქციზო გადასახადის გარეშე რამდენჯერმე მაღალი იქნებოდა.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების დღიდან აქციზურ საქონელზე აქციზის განაკვეთები ზრდის მიმართულები განუხრელად იცვლებოდა. აქციზური საქონელის ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, გარდა შავი და ფერადი ლითონის ჯართისა, რომელიც სისტემატურად იზრდებოდა, 2010წ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად შავი ან/და ფერადი ლითონის ნარჩენის ექსპორტის მომსახურების ტარიფების ოდენობა და გადახდის წესი საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრებოდა.

სოციალური გადასახადი

2008 წლის 1 იანვრამდე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გადასახადების სტრუქტურაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალურ გადასახადებს (სოციალური დაზღვევის ფონდის გადასახადი – 27%+1%, დასაქმების ფონდის გადასახადი – 1%+1%, სამედიცინო დაზღვევის გადასახადი – 3%+1%). 2004 წლის საგადასახადო კოდექსით მეწარმე სუბიექტებისათვის აღნიშნული სოციალური გადასახადების ნაცვლად შემოღებული იქნა ერთიანი სოციალური გადასახადი და მისი განაკვეთი ადრე ჯამში არსებული 31%-ის ნაცვლად, შემცირდა 20%-მდე. გაუქმდა სოციალური გადასახადის მინიმალური ოდენობა (16 ლარი), ამასთან, ფიზიკურ პირებს მისაღები შემოსავლებიდან აღარ დაუკავდებათ აღნიშნული გადასახადის სახით – 2% (1%+1%).

ქონებისა და მიწის გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემის შემადგენელი ნაწილია ქონებისა და მიწის გადასახადები წარმოადგენდა. საგადასახადო კოდექსის (1997წ.) შესაბამისად საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნებოდნენ. 2005 წლის 1 იანვრიდან კი საქართველოს საგადასახადო კოდექსის (2004წ.), შესაბამისად ადგილობრივ გადასახადს განეკუთვნება ერთიანი – ქონების გადასახადის სახით და მასში ფაქტობრივად იგივე ორი – ქონებისა და მიწის გადასახადებია თავმოყრილი.

ვინაიდან ქონების გადასახადი მთლიანად ადგილობრივი გადასახადების რიგში გადატანილია, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს გარკვეულწილად გაზრდილი უფლებები მიეცათ. კერძოდ, მათ უფლება აქვთ გარკვეული ზღვარის ფარგლებში დააწესონ ქონების გადასახადი, დააწესონ მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები, კონკრეტული მიწის კატეგორიისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადი სისტემაში ყველაზე რთულად ადმინისტრირებადი გადასახადია, მას ემატება აღნიშნული გადასახადით მოცული (ქონების (გარდა მიწისა) და მიწის (სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო)

გადასახადებთან მიმართებაში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი სისტემატური ცვლილებები და დამატებები, რის შედეგადაც ამ გადასახადებთან დაკავშირებით მოქმედმა კანონმდებლობამ დასრულებული, სრულყოფილი სახე კვლავაც ვერა და ვერ მიიღო, გამომდინარე მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა არც უახლოეს მომავალშია გამორიცხული.

კიდევ უფრო მოუგვარებელია ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადებით დაბეგვრის პრობლემა, 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამის თავში პრაქტიკულად არ დარჩენილა არცერთი მუხლი, რომელშიც რაიმე ფორმით, რაიმე შესწორება და ცვლილება არ შესულიყო, ამასთან ზოგიერთ მუხლსა, თუ პუნქტში შეტანილი შესწორებები და ცვლილებები წლიდან წლამდე იცვლებოდა, იცვლებოდა აღნიშნული გადასახადების დაბეგვრისა და დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის წესები, საგადასახადო განაკვეთები და სხვა პროცედურული ნორმები.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში საწარმოთა ქონების გადასახადით დაბეგვრის საკითხები, შედარებით სტაბილურად გამოიყურებოდა მანამ სანამ საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2009 წლის 17 ივლისს შეტანილი ცვლილებებით 2009 წლიდან მოყოლებული ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა (ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულება (გაიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით):

- 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1,5 ჯერ;
- ხოლო იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, ისევე, როგორც 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე 3-ჯერ უნდა გაიზარდოს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში (2004 წ) შეტანილი აღნიშნული ცვლილებებით საწარმოთა ქონების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსში (2004 წ) შეტანილი აღნიშნული ცვლილებებით საწარმოთა ქონების გადასახადი

1%-ს კი არა, ცალკეული შემთხვევებში 1,5%; 2%; 3%-ს შეადგენს, აქვე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მიუხედავად საგადასახადო კოდექსში შეტანილი ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზის აღნიშნული გზით მნიშვნელოვანი გადიდებისა, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აგენტს დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულება საბაზრო ფასით განუსაზღვროს, ხოლო გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ საბაზრო ფასის ოდენობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

2015 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა დაანონსეს მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში - მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება (შემდგომში - “ესტონური მოდელი”). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა.

საკანონმდებლო სიახლის გაცხადებული მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას, თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, მოახდენს თუ არა ესტონური მოდელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წახალისებას და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა.

მოგების გადასახადს სტაბილური წილი ექირა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, და მისი პროცენტული წილი, 2007-2015 წლებში მონაცემებით საშუალოდ 12%-ს შეადგენდა, რაც ასახულია შემდეგ ცხრილზე:

მოგების გადასახადი 2007-2015 წლებში

ცხრილი № 2.3

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოგების გადასახადი(მლნ. ლარი)	555	592	518	576	832	851	807	829	1025
წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (%)	13	12	12	12	14	13	12	11	13

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით (www.mof.ge)

რეფორმამდელი მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება * 15% = გადასახადელ მოგების გადასახადს.

რეფორმა არ ეხება ფიზიკურ პირებს, მათ შორის ინდ.მეწარმეებს, ორგანიზაციებს (სსიპ, ააიპ) და საფინანსო კომპანიებს, როგორცაა: კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვეო კომპანიები, ლომბრადები. საფინანსო სექტორი 2020 წლიდან გადავა აღნიშნული დაბეგვრის რეჟიმზე. ახალ მოდელზე, ავტომატურად გადავიდა ყველა იურიდიული პირი, გარდა საფინანსო ბიზნესისა, მათ შორის არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებები.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტებია, განაწილებული მოგება რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი;

დასაბეგრი ობიექტებია:

1. განაწილებული მოგება:

განაწილებული მოგება თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

ა) დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით;

ბ) ურთიერთდამოკიდებული პირისგან საქონლის ან მომსახურების შეძენა საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;

გ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ობშორები) რეგისტრირებული პირთან საქონლის შეძენა ან რეალიზაცია საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;

დ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. ეს ხარჯებია:

ა) დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი;

ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

გ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე კომპანიიდან შეძენილი საქონელი/მომსახურება;

დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისაგან საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

ე) ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის (24%) ფარგლების ზემოთ სესხისათვის გადახდილი პროცენტი;

ვ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი.

ზ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორი) რეგისტრირებული პირის, და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა; სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

თ) გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტებზე, ოფშორულ არარეზიდენტებზე და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებზე.

ი) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

კ) არარეზიდენტის, აგრეთვე კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

ლ) არარეზიდენტის და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა:

მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი:

საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი ან თუ კომპანია ზარალს განიცდის, მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯების 1 %-ზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

გარდა, აღნიშნულისა არსებობს შემთხვევები რაც გათანაბრებულია დივიდენდის განაწილებასთან. რეფორმის შედეგად არ იცვლება გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15 % რჩება.

რეფორმის შედეგად იცვლება დასაბეგრი ოპერაციის საფუძველზე გამოსაანგარიშებელი მოგების გადასახადი შემდეგი წესით:

ზემოთ განხილულია 4 ტიპის დაბეგრის ობიექტი, ხოლო თუ განსაზღვრულია დასაბეგრი ობიექტის საბაზრო ფასი, ამ შემთხვევაში საბაზრო ფასი გაყოფილი 0,85/- ზე (ე.წ „აგროსვა“) და გამრავლებული 15 % - ზე. მაგალითად, კომპანიას აქვს 100 ლარი გართობის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის კომპანიის საქმიანობასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 17, 64 ლარს $((100/0,85)*15 \%)$.

შესაძლებელია ჩათვლის გაკეთება უცხოეთში გადახდილ გადასახადზე და - წყაროსთან დაკავებულ ან გადახდილ გადასახადის თანხის. ასევე შესაძლებელია მოგების გადასახადის თანხის შემცირება ჩათვლის გაკეთება შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა (ფაქტობრივად მიღებული თანხა);

2. გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის დაბრუნებული თანხა ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა საანგარიშო პერიოდში;
3. სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმებისას გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა.

აღნიშნული შემცირებების გამოყენება ხდება იგივე მოდელით: შესამცირებელი თანხა/0,85*15%

ხელისუფლების მიერ დაანონსებული ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის შემოღება 2016 წელს შეფასებული იქნა USAID - ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G). აღნიშნულით, შეფასდა ესტონური მოდელის საგადასახადო რეჟიმის შესაძლო მაკროეკონომიკური შედეგები. ეკონომისტების მიერ შემუშავებულ იქნა ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის ზოგადი წონასწორობის მოდელი (neo-classical general equilibrium growth model).

აღნიშნული კვლევის მიხედვით რეფორმას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი, კერძოდ:

- რეფორმას აქვს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტი. საფონდო ბირჟის კაპიტალი 1,5 წელიწადში 3,23 %-ით გაიზრდება. რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. ეკონომიკური აგენტები იმაზე მეტს ჩადებენ საინვესტიციოდ, ვიდრე აქამდე;
- დაახლოებით 1,5 წელიწადში, რეალური მშპ გაიზრდება 1,44%-ით;
- საერთო კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85 %-ით 1,5 წელიწადში;
- რეფორმა გაზრდის სამთავრობო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტს მაქსიმუმ 3%-ით. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის 1 %-ით ზრდა და 1,25 %-ით დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდა აღმოფხვრის აღნიშნულ დეფიციტს. ახალი საბიუჯეტო წონასწორობის მისაღწევად მთავრობამ უნდა იფიქროს ხარჯების არ გაზრდაზე რეფორმიდან 2 - 3 წლის განმავლობაში;
- რეფორმის შედეგი, დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები.

კვლევის ავტორები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დემოკრატიისა და საკუთრების უფლების დაცვის დონეს, რადგან ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია საპროგნოზო რისკების შეფასებისას, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესტონეთზე მეტად ელასტიურია საქართველოს ეკონომიკა ისეთი რეფორმების გატარებაში, როგორცაა შრომითი უფლებები, მონეტარული თავისუფლება, ბიზნესის კეთების სიადვილე და ა.შ. ესტონეთი აღნიშნული მაჩვენებლებით სანამ მოგების გადასახადის რეფორმას გაატარებდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს დღევანდელ მზაობას რეფორმისადმი.

2016 წელს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილების მიერ ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ესტონური მოდელის შემოღების შედეგების შეფასებას.

კვლევაში განხილული იყო 5 სცენარი, რეინვესტირების სხვადასხვა ნორმებით და შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების შემცირებით:

საგადასახადო შემოსავლების შემცირების 5 სცენარი

ცხრილი № 2.4

წლები	2017	2018	2019
სცენარი 1			
რეინვესტირების ნორმა	40%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-475	-167	-141
სცენარი 2			
რეინვესტირების ნორმა	50%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-580	-204	-173
სცენარი 3			

რეინვესტირების ნორმა	60%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-686	-242	-204
სცენარი 4			
რეინვესტირების ნორმა	70%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-791	-279	-235
სცენარი 5			
რეინვესტირების ნორმა	80%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-897	-316	-267

წყარო: კვლევითი პუბლიკაცია - მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში: გავლენის შეფასება სახელმწიფო ფინანსებზე და ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე

სცენარები გაანგარიშებულია სხვადასხვა რეინვესტირების ნორმის გათვალისწინებით და ჩანს, რომ შემოსავლების შემცირების სიმძიმე ძირითადად მოდის პირველ წელს, ხოლო შემდგომ წლებში ეკონომიკური სტიმულების გამო საგადასახადო შემოსავლების შემცირების მოცულობა თანდათანობით მცირდება. მიუხედავად ეკონომიკური სტიმულისა, 40%-იანი რეინვესტირების პირობებშიც კი მესამე წელს საგადასახადო შემოსავლები 100 მილიონ ლარზე მეტით მცირდება.

„საგადასახადო შემოსავლების შემცირების საპასუხოდ შესაძლოა გატარდეს 2 პოლიტიკა: შემცირდეს საბიუჯეტო ხარჯები ან გაიზარდოს საგადასახადო შემოსავლები.

საგადასახადო შემოსავლების ზრდა შესაძლებელია საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით ან საგადასახადო განაკვეთების ზრდით. საგადასახადო ადმინისტრირების შედეგების წინასწარ განსაზღვრა სირთულეს

წარმოადგენს, ხოლო რომელიმე გადასახადის განაკვეთის ზრდის გავლენის ანალიზი მეტ-ნაკლებად რეალური გათვლების საშუალებას იძლევა.

საქართველოს შემთხვევისათვის საგადასახადო განაკვეთების ზრდა აკრძალულია ეკონომიკური თავისუფლების აქტით. თუმცა იმავე აქტით „საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა – არა უმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ ტარდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაშვებულ იქნას სიტუაცია, როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი იზრდება (საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში მაღალი წილის გამო მისი მცირედი ზრდა მნიშვნელოვნად აკომპენსირებს მოგების გადასახადის რეფორმის გავლენით საგადასახადო შემოსავლების შემცირებას) შემდგომი 3 წლის განმავლობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დაითვალოს დღგ-ს ის ოპტიმალური განაკვეთი, რომელიც სრულად აღმოფხვრის რეფორმით გამოწვეულ უარყოფით ეფექტებს“ [სპსო 2016: 13]

საგადასახადო შემოსავლების შემცირების 5 სცენარი დღგ-ს მაკოპენსირებელი განაკვეთის გათვალისწინებით

ცხრილი № 2.5

წლები	2017	2018	2019
სცენარი 1			
რეინვესტირების ნორმა	40%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-475	-167	-141
დღგ-ს მაკოპენსირებელი განაკვეთი	20.1%	18.7%	18.6%
სცენარი 2			

რეინვესტირების ნორმა	50%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-580	-204	-173
დღგ-ს მაკოპენსირებელი განაკვეთი	20.5%	18.9%	18.8%
სცენარი 3			
რეინვესტირების ნორმა	60%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-686	-242	-204
დღგ-ს მაკოპენსირებელი განაკვეთი	20.9%	19.1%	18.9%
სცენარი 4			
რეინვესტირების ნორმა	70%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-791	-279	-235
დღგ-ს მაკოპენსირებელი განაკვეთი	21.4%	19.3%	19.1%
სცენარი 5			
რეინვესტირების ნორმა	80%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-897	-316	-267
დღგ-ს მაკოპენსირებელი განაკვეთი	21.9%	19.5%	19.2%

წყარო: კვლევითი პუბლიკაცია - მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში: გავლენის შეფასება სახელმწიფო ფინანსებზე და ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე

ცხადია, რომ საგადასახადო შემოსავლების შემცირების საპასუხოდ საჭიროა მაღალი დღგ-ს განაკვეთი და ყველა სცენარის მიხედვით შესაძლებელია მისი თანდათანობითი შემცირება. ყველაზე უარყოფითი სცენარის შემთხვევაში, რეინვესტირების 80 პროცენტის ნორმის პირობებში, პირველ წელს საჭიროა დღგ-ს თითქმის 22%-მდე ზრდა, ხოლო 40 პროცენტის ნორმის შემთხვევაში მესამე წელს მაკოპენსირებელი განაკვეთი უახლოვდება რეფორმამდელ განაკვეთს და მეოთხე წელს, კანონმდებლობის შესაბამისად, მისი 18%-იან დონეზე დაბრუნება საგადასახადო შემოსავლების შემცირებას აღარ წარმოშობს თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია ყველა შესაძლო მოვლენებისა და პრობლემების პროგნოზირება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საგადასახადო განაკვეთის ზრდით, მითუმეტეს დღგ-ს რომლის სიმძიმე დააწვება ისედაც მძიმე პირობებში მყოფ მოსახლეობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, კვლევა “სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვა” მოამზადა (2017 წ.). კვლევაში მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ მოკლე და გრძელვადიან პერიოდში, სახელმწიფო ხარჯები მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება, – ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი სოციალური ხარჯები და მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სახელდება.

მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ დაგეგმილი საპენსიო რეფორმის ფონზე სამთავრობო ხარჯები კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ამასთან, მთავრობა გეგმავს რომ კიდევ უფრო გაზარდოს კაპიტალური დანახარჯები დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ფონზე. პარალელურად ხარჯების ზრდისა, ქვეყანაში შემოსავლების ზრდაც მოსალოდნელია, – ამის მიზეზად გადასახადების ე.წ. ესტონური მოდელი სახელდება თუმცა, მსოფლიო ბანკი აღნიშნავს რომ 2018-2019 წლებში შემოსავლების კვლავ კლებაა მოსალოდნელი, რამდენადაც მოგების გადასახადის შეღავათები ამ პერიოდში, უკვე ფინანსურ ორგანიზაციებზეც გავრცელდება.

კვლევაში აღნიშნულია, რომ მთავრობის ოთხ პუნქტიანი გეგმის პარალელურად საბიუჯეტო დეფიციტი შესაძლოა 4%-ზე მეტად გაიზარდოს. საერთაშორისო სავალუტო

ფონდის პროგრამის პარალელურად, მთავრობამ დასახა გეგმა რომ 2020 წლამდე საბიუჯეტო დეფიციტი 3%-ზე ჩამოვიდეს. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონალური პერსპექტივები კვლავ გაურკვეველია, საბიუჯეტო შემოსავლები და ფისკალური ბალანსი შესაძლოა კიდევ უფრო გაუარესდეს.

რაც შეეხება ესტონური მოდელით მიღებული დანაკლისის დაკომპენსირებას გადასახადების ზრდით, – მსოფლიო ბანკის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გადასახადების ამ ფორმით ზრდა ყველაზე მეტად მოსახლეობის ღარიბ ფენას „დაარტყამს“.


“მოგების გადასახადის ცვლილება სარგებელს ქვეყნის მდიდარ მოსახლეობას მისცემს; თამბაქოზე, ალოჰოლზე და საწვავზე გაზრდილი ფასები კი ღარიბ მოსახლეობას დააზარალებს. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავის ფასის ზრდა იწვევს სხვა პროდუქციის და სერვისების ფასების ზრდას”, – აღნიშნულია ანგარიშში.

მსოფლიო ბანკი მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტს საქართველოსა და ესტონეთში ერთმანეთს ადარებს და აღნიშნავს, რომ შედეგი საქართველოსთვის განსხვავებული იქნება, რამდენადაც რეფორმით საქართველოსთვის ფისკალური რისკი მეტად გაიზრდება. კერძოდ, – მსოფლიო ბანკი მიიჩნევს რომ საქართველოს გადასახადების ე.წ. ესტონური მოდელით მეტ შემოსავალს დაკარგავს, ამის მიზეზად კი ის ფაქტი სახელდება, რომ ესტონეთში საგადასახადო შემოსავლები უფრო მაღალი იყო რეფორმის იმპლემენტაციამდე, ვიდრე ეს საქართველოშია. ამასთან, მოგების გადასახადი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში საქართველოში ორჯერ მეტი იყო, ვიდრე ესტონეთში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში აღნიშნეს, რომ ხელისუფლება საგადასახადო წნეხის შესუსტებას ინვესტიციების წახალისების მიზნით ცდილობს. თუმცა, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლის, ფრანსუა პეჰშოს განცხადებით, საქართველოში მოგების გადასახადი რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ისედაც ყველაზე დაბალია.

სავალუტო ფონდში აღნიშნავენ, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს გადააჭარბა. როგორც უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, მართალია, მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისას პრობლემები არ შეიქმნება, მაგრამ მოსალოდნელი სუსტი ეკონომიკური ზრდის, ასევე გაზრდილი ფინანსური ხარჯების ფონზე, შესაძლოა, ქვეყანამ ვეღარ შეძლოს ვალის შენარჩუნება არსებულ, ან უფრო დაბალ დონეზე, რაც ასახულია შემდეგ გრაფიკზე:

გრაფიკი № 2.1




წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით (www.mof.ge)

როგორც უკვე აღინიშნა მთავრობა ესტონური მოდელის საშუალებით ცდილობს გაზარდოს ინვესტიციების შემოდინება საქართველოში, თუმცა ეკონომიკის დღევანდელი პრობლემები (უთანასწორობის მაღალი დონე, ვალუტის დევალვაცია, უმუშევრობის მაღალი დონე, სიღარიბე და სხვ...) „ინვესტიციების“ შემცირებიდან არ გამომდინარეობს. უფრო მეტიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 2017

წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, თუმცა 2018 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა რაც ნათლად ჩანს შემდეგ ცხრილზე:

გრაფიკი № 2.3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


შესაბამისად გაუგებარია თუ რატომ არის საჭირო კიდევ უფრო მეტად გადასახადების შემცირება, მით უმეტეს როდესაც რეგიონში საქართველო ისედაც ყველაზე ლიბერალური ეკონომიკითა და გადასახადების სიმცირით გამოირჩევა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, Businessinsider-მა მსოფლიოში ყველაზე დაბალი გადასახადების მქონე 18 ქვეყანაზე გამოაქვეყნა ინფორმაცია. გადასახადების სიდიდე განისაზღვრა დღგ-ს/გაყიდვების, საშემოსავლო, მოგების, ქონების და სოციალური გადასახადის მიხედვით. ასევე გათვალისწინებულ იქნა კონკრეტული გადასახადისგან გათავისუფლებების წილი. მე-18 ადგილზე ჰონგ-კონგი

გავიდა, გადასახადის 22.8% საშუალო დონით. მე-13-ზე სომხეთი 20.4%-ით, მე-10-ზე სინგაპური 18.4%-ით, მე-9 ადგილი საქართველომ დაიკავა 16.4%-ით. მოწინავე ადგილებზეა ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნები, რადგან ბიუჯეტს ნავთობის გაყიდვიდან მიღებული ფულით ავსებენ და მოსახლეობის დაბეგვრა ნაკლებად ჭირდებათ. პირველი ადგილი კი მაკედონიამ დაიკავა – 7.4%-ით. თუმცა, ბიუჯეტის შესავსებად მაკედონია მნიშვნელოვან ვალებს იღებს და სახელმწიფო ვალი სწრაფად იზრდება. ქვეყნის ეკონომიკა კი 2-3%-ით იზრდება. შესაძლოა რეფორმის შედეგად, საქართველომ მაკედონიის ბედი გაიზიაროს.

მეორეს მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში არის გამოხატული პრობლემა – მოთხოვნა, რაც მშპ-ს მოხმარების კომპონენტს ამცირებს. საქსტატი არ ახორციელებს ამ კომპონენტის აღრიცხვას, მაგრამ ამაზე მიუთითებს მომხმარებლის თავდაჯერებულობის ინდექსის (consumer confidence - ზომავს მომხმარებლის განწყობას ქვეყნის ეკონომიკისა და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შესახებ მოკლევადიან პერიოდში, -100-დან +100 დიაპაზონში) ქრონიკული კლება, რასაც ვხედავთ შემდეგ გრაფიკზე:

მომხმარებლის თავდაჯერებულობის ინდექსი

გრაფიკი № 2.4




წყარო: www.tradingeconomics.com

რეინვესტირების წახალისება საგადასახადო შეღავათით კარგი იქნება მაგრამ, ეს დადებითი ეფექტი დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის კანონმდებლობა მთლიანობაში მომართულია იქითკენ, რომ შეზღუდოს უცხოური კაპიტალის რეპატრიაცია, უცხოური საქონლის იმპორტი, და საკუთრებით (უძარავი ქონებით, სახლებით, მიწით) სპეკულაცია და საკუთრებაზე ფასების ბუშტის გაჩენა. თანამედროვე კანონმდებლობა აქეთკენ მიმართული არაა. ამას ემატება ისიც, რომ საგადასახადო შეღავათების შემოღება ხდება ბიუჯეტის დეფიციტის დაგეგმილი შემცირების ფონზე, რაც კიდევ უფრო გაამძაფრებს რეალურად არსებული მოხმარების პრობლემას და აზრს დაუკარგავს რეინვესტირების წახალისებით გასაზრდელ მიწოდებას – ვის უნდა მიაწოდოს მეწარმემ პროდუქტი, თუ მომხმარებელს შესყიდვის უნარი არ ექნება?

ასევე გაუგებარია თუ რატომ ეხება ესტონური მოდელი ფინანსურ სექტორს, რომელიც საქართველოში რეკორდულ მოგებას ნახულობს. ბოლო წლების ტენდენციების


მიხედვით, საბანკო სექტორის წმინდა მოგება, ყოველწლიურად რეკორდულ მოგებაზე გადის, რაც ასახულია შემდეგ გრაფიკზე:

გრაფიკი № 2.5




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ვხედავთ, წინა წლებთან შედარებით, კომერციული ბანკების წმინდა მოგება ყოველ მომდევნო წელს მატულობს. 2018 წელს საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ 914 მლნ ლარი შეადგინა რაც ახალი ისტორიული რეკორდია. ზოგადად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს საბანკო სექტორი მომგებიანობით უკვე მსოფლიო ათეულშია, კერძოდ:



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები არაპროფილურ აქტივებს ფლობენ ბიზნესის ისეთ სეგმენტებში, როგორცაა ლიზინგი, დაზღვევა, ტურიზმი, უძრავი ქონების სექტორი და სხვა ეკონომიკის სექტორებში, ხელს უშლიან კაპიტალის ბაზრის

ფორმირებას, თავიანთი უზარმაზარი რესურსებით კონკურენციას უწევენ მცირე და საშუალო ბიზნესებს, რაც საბოლოო ჯამში მკვეთრად უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

მაღალი მოგების მიუხედავად, საბანკო სექტორი ბიუჯეტში არცთუ დიდ ფულს იხდის. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წელს ყველა კომერციულმა ბანკმა ერთად ბიუჯეტში 44 მილიონი ლარი შეიტანა, 2014-ში – 79 მილიონი ლარი, 2015-ში – 67 მილიონი ლარი, 2016 წელს კომერციული ბანკების მოგების გადასახადმა 79 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წელს კი ბანკებმა მხოლოდ 90 მილიონი ლარი გადაიხადეს. არსებული რეალობიდან გამომდინარე ესტონური მოდელის დაწესება საბანკო სექტორზე არა რაციონალური გადაწყვეტილებაა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ისედაც მწირ შენატანებს საბანკო სექტორიდან ბიუჯეტში.

თავი III. მოგების გადასახადის ესტონური გამოცდილება

ყოველი ერი მიისწრაფვის ეკონომიკის განვითარებისაკენ. სსრკ-ს და გეგმიური ეკონომიკის კოლაფსის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს მათთვის შესაფერისი ეკონომიკური მოდელების ძიება, რომლებიც მათი ბიზნესის გარემოს გააუმჯობესებდა. მიუხედავად სხვადასხვა საგადასახადო სისტემის არსებობისა, ყველა ეკონომისტი თანხმდება, რომ გადასახადებს უშუალო კავშირი აქვთ საწარმოს მომგებიანობასა და ეფექტურობასთან, თუმცა კითხვა იმის შესახებ თუ, რამდენად მნიშვნელოვანია გადასახადების ზეგავლენა ბიზნესის გარემოზე, საკამათო საკითხია.

ესტონური მოდელის მიზანი იყო მოგების გადასახადის გაუქმება (რეინვესტირების შემთხვევაში), რათა მოეზიდათ ინვესტიციები კერძო სექტორში. შესაბამისად, ბიზნესს გაუჩნდა დამატებითი რესურსები ინვესტირებისა და განვითარებისათვის. თუმცა საინტერესოა, რამდენად მოახერხა ესტონურმა ბიზნესმა გამოთავისუფლებული ფულადი რესურსების რეინვესტირება, დარჩა თუ არა ეს თანხები ესტონეთში და რამდენად შეუწყო ხელი რეინვესტირებამ, ინოვაციური ბიზნესის განვითარებას.

1994 წლამდე, ესტონეთის ეკონომიკამ განიცადა ორი აღმავლობა: რუბლის ზონის დატოვება (1992 წ.) და სწრაფი პრივატიზაციის პროცესი (1991-1993 წ.). 1994 წლის შემდეგ, ესტონეთის ეკონომიკა სტაბილიზირდა, 1994-1999 წლებში არ მომხდარა მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა, ხოლო საგადასახადო ტვირთი ნარჩუნდებოდა 35,9% – 36,5% ფარგლებში.

ესტონური საგადასახადო სისტემის რეფორმები ტარდებოდა „Leave Alone” იდეოლოგიის შესაბამისად, რაც გულისხმობდა დაბალ განაკვეთებს პირდაპირ გადასახადებზე, საჯარო სექტორის ხარჯების მინიმიზირებას მშპ-სთან მიმართებით და ირიბი გადასახადების დომინანციას. საგადასახადო შემოსავლების უმსხვილესი წყარო იყო, - დღგ, საშემოსავლო და აქციზი. ესტონეთში არ არის ქონების გადასახადი, ხოლო მიწის გადასახადი უმნიშვნელოა. სოციალური გადასახადი ირიცხებოდა სოციალურ ფონდში,

სადაც ჯანდაცვის ფონდის ხარჯები აღემატებოდა დაგეგმილ ბიუჯეტს 2000 წლამდე. ევროკავშირის ძირითადი პრინციპები საფუძვლად დაედო - დღგ-ს, საშემოსავლო და აქციზის გადასახადების ფორმირებას. 1993 – 1999 წლებში მათი წილი საგადასახადო შემოსავლებში გაორმაგდა.

ესტონური საშემოსავლო გადასახადის მოდელი არ ითვალისწინებდა ევროკავშირის გამოცდილებას. ესტონეთის 15 რეგიონში მოქმედი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები შეიცვალა ერთი განაკვეთით, რომელიც შეადგენდა 26% (2008 წელს შეამცირეს 21 %-მდე). პროპორციული საგადასახადო სისტემის და დაბალი განაკვეთების არჩევა, განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: არასაკმარისი ეკონომიკური ცოდნა, გამოუცდელი საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა, რომელმაც განიცადა მარცხი გადასახადების აკრეფის დროს, განსაკუთრებით პროგრესული სისტემის შემთხვევაში და კაპიტალის აკუმულაციის სურვილი, მოსახლეობის მცირე შემოსავლების პირობებში.

ესტონური ბიუჯეტის სტრუქტურა შეიცვალა 2000 წელს. სოციალური გადასახადის შემოსულობები შეიტანეს ბიუჯეტში. რეფორმამ არ მოახდინა რაიმე პრინციპული ცვლილება საგადასახადო სისტემაში. 2002 წლის ბიუჯეტში სოციალური გადასახადი იყო საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდი წყარო (35,3%), მას მოჰყვებოდა დღგ (28%), აქციზი (10,8%), საშემოსავლო (9,5%) და მოგების გადასახადი (3,7%). 2002 წლის საგადასახადო ბიუჯეტი არსობრივად განსხვავდებოდა 2000 წლის ბიუჯეტისაგან, რომლის მიხედვითაც დღგ, აქციზი, საშემოსავლო და მოგების გადასახადები შეადგენდნენ 3,5%, 16,8%, 14,8% და 5,7%.

2000 წლის 1 იანვარს განხორციელდა პრინციპული ცვლილება საგადასახადო სისტემაში: შეიქმნა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. ეს რეფორმა გამომდინარეობდა დაბალი გადასახადების პოლიტიკიდან, უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით, თუმცა იდეა ახალი არაა, რადგან იგივე პრინციპზეა დაფუძნებული ოფშორების ფუნქციონირება, არც ის იდეაა სიახლე, რომ რეალურ აქტივებში

რეინვესტირება გაზრდიდა მათ ღირებულებას და მისცემდა აქტივებს აკუმულირებისა და კვლავწარმოების საშუალებას. აქტივების შიდა აკუმულაციის პრობლემამ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებმაც არ განახორციელეს ბიზნესის ინოვაციური სტიმულირების პოლიტიკა, გაუარესდა აქტივების კვლავწარმოება, მათ შორის ესტონეთშიც.

ესტონური მოგების გადასახადით დაბეგრის გამოცდილება, განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან გადახდისა და ვალდებულებების გაჩენის, დროში სხვაობით. სხვა ქვეყნებში, მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება მოგების დადასტურების მომენტში, ესტონური კანონების მიხედვით კი კომპანიას მოგება შესაძლოა ჰქონდეს ანგარიშზე, მრავალი წლის განმავლობაში, სანამ ის არ გადაწყვეტს მის რეალიზებას. მხოლოდ მაშინ როდესაც ხდება მოგების რეალიზება, წარმოიქმნება მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება, აქ კი ჩნდება კითხვა, არსებობს თუ არა მოგების რეალიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგრვას.

დანაზოგები წარმოადგენენ ინვესტირების ნეიტრალურ წყაროს. ეკონომიკის განვითარების გარდამავალ პერიოდში, როცა მშპ მცირეა, ხოლო საოჯახო მეურნეობებს არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ მათი ძირითადი მოთხოვნილებები, დანაზოგების წილი მშპ-ში მცირეა შესაბამისად, შეუძლებელია დანაზოგებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ძირითადი თეორიული კონცეფციები, რომელთა მიხედვითაც დანაზოგები ტოლია ინვესტიციების ($S = I$), არ არის მართებული იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან გარდამავალ პერიოდში.

1998 წელს შიდა დანაზოგები ესტონეთში შეადგენდა მშპ-ს 20,3%. ამავე დროს შიდა ინვესტიციებმა მიაღწია მშპ-ს 16%. ეს სხვაობა განპირობებულია ისტორიული მახასიათებლებით, რომლებიც წარმოიქმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, სსრკ-ს დაშლის შედეგად. დეკადების განმავლობაში დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის არსებობის პირობებში, ასევე კომუნისტური სისტემის ნგრევისა და ბანკების გაკოტრების შედეგად, მოსახლეობამ ფულის სახლში შენახვა ამჯობინა. მსგავსი მდგომარეობა წარმოქმნის

ნეგატიურ პროცესებს, კერძოდ, ცირკულაციის პროცესიდან ფულის გადინებასა და კრედიტების მოხმარების შემცირებას. ესტონეთის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რთულია ფულის გადინების ზუსტი დონის დადგენა, თუმცა ის საკმარისია არსებული პრობლემების წარმოსაჩენად. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია აჩვენებს შიდა ინვესტირების დაბალ დონესა და მათი საერთო მოცულობის სიმცირეს.

ინვესტირება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოების განვითარებისათვის, მისი უკმარისობა განსაკუთრებით დიდ შეფერხებებს იწვევს გარდამავალი ეკონომიკის განვითარების პროცესში, თუმცა ესტონეთში სიტუაცია განსხვავებულია. ესტონეთის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი, 1993 წლიდან, ყოველ კვარტალში იკვლევს ლიდერი ექსპერტების მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, ინვესტიციების უკმარისობა იყო მთავარი ფაქტორი, რაც 1993-1996 წლების ეკონომიკური განვითარების კრიზისის წინაპირობა გახდა. 1997 წლის შემდეგ, ამ ფაქტორის მნიშვნელობამ დაიკლო და გადაინაცვლა 4-6 პოზიციაზე, ისეთი ფაქტორების შემდეგ, როგორებიცაა: სამუშაო ძალის დაბალკვალიფიციურობა, ბაზრის არაეფექტურობა და სხვა...

ცხრილი № 3.1

	1998	1999	2000	2001	2002	2003
მშპ (მლნ კრონა)	78341	81639	92717	104337	116869	125832
მოგების გადასახადი (მლნ კრონა)	1914	1635	855	748	1348	2149
საშემოსავლო გადასახადის ეფექტური განაკვეთი %	5,62	5,21	2,11	1,78	3,00	4,32
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ კრონა)	8,07	4,45	6,64	9,43	4,8	6,78
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ელასტიურობა (1998 წლის მიხედვით)			0,28	-0,29	0,87	-0,69

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ელასტიურობა (1999 წლის მიხედვით)			0,83	-1,72	0,18	3,08
უმუშევრობა %	9,8	12,2	13,6	12,6	10,3	10,6

წყარო: ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი ოლეგ რაჟუ

ცხრილის №5.1-ის მონაცემები დაგვეხმარება, მოგების გადასახადის გაუქმების შედეგების შესაფასებლად. რეალურად ძალიან რთულია დაადგინო კავშირი მოგების გადასახადის შემცირებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) დამოკიდებულია ეკონომიკის ზრდის ტემპებსა და ეკონომიკურ ციკლზე. 2002 წლის შემდეგ დაიწყო პუი-ს კლების ტენდენციის შესწავლა. 2000 წლის შემდეგ, პუი-ს არავითარი ზრდა არ დაფიქსირებულა. ასევე არ დაფიქსირებულა კომპანიების ინვესტიციების ზრდა ფიქსირებულ აქტივებში (შიდა და უცხოური ერთად), თუმცა მოულოდნელად მოხდა შემცირება. შესაძლებელია გრძელვადიან პერიოდში დაფიქსირდეს ინვესტიციების ზრდა, თუმცა ესტონური ეკონომიკის აღდგენისათვის საჭიროა მსხვილი ინვესტიციების განხორციელება. პრაქტიკულად რთულია მოგების გადასახადის გაუქმებასა და პუი-ის ზრდას შორის კავშირის დადგენა. რეალურად სხვა ფაქტორების ზეგავლენა, როგორცაა ბიზნესის მოლოდინი და საერთაშორისო შვილობილი კომპანიების საქმიანობა ესტონურ ბაზარზე, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგების გადასახადის გაუქმება.

ცხრილიდან №5.1-დან ჩანს, რომ არ დაფიქსირებულა უმუშევრობის მკვეთრი შემცირება. უმუშევრობის დონე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომლებიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგების გადასახადის გაუქმების შედეგად წარმოქმნილი მოლოდინი, პუი-ს მოზიდვისა და დაბანდების შედეგად, უმუშევრობის შემცირების შესაძლებლობა. ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს 1999-2003 წლებში, უმუშევრობის შემცირება, საჭიროებს ცალკე გამოკვლევას.

2002 წელს უმუშევრობის შემცირება გამოწვეული იყო მმართველი კოალიციის ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლით, რომელიც მცირედით განსხვავდებოდა წინა

ხელისუფლებისაგან. უდავოა, რომ მოგების გადასახადის გაუქმების მომხრეების მოლოდინი, რომელიც გულისხმობდა მოგების გადასახადის გაუქმების შედეგად მოზიდული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით უმუშევრობის მნიშვნელოვნად შემცირებას, არ გამართლდა.

ჩნდება კითხვა თუ, რატომ აღმოჩნდა რეალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე უფრო დაბალი, ვიდრე ამას მოელოდა ხელისუფლება. პასუხი ის არის, რომ ესტონეთის მომგებიანი ბაზრები, 2000 წლამდე უკვე იყო ათვისებული უცხოელი ინვესტორების მიერ. აღსანიშნავია, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არის ერთ-ერთი ფაქტორი რომლის საშუალებითაც, ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას ინვესტიციების დაბანდების შესახებ. ასევე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აქტიურ კონკურენციას უწევდნენ ესტონეთს, პუი-ს მოზიდვის პროცესში. 2002 წელს, მოგების გადასახადის მშპ-ს წილი ევროკავშირში, საშუალოდ 2,4% შეადგენდა. ესტონეთში ეს მაჩვენებელი 1,7% შეადგენდა. შესაბამისად, ის დიდად არ განსხვავდებოდა საშუალო მაჩვენებლისაგან. უფრო მეტიც, ანალოგიური მაჩვენებელი უფრო მცირე იყო ლატვიაში, ლიტვასა და ხორვატიაში. ესტონეთსა და სლოვენიაში, მოგების გადასახადის ინდიკატორები, ფაქტობრივად თანაბარი იყო.

ძალზე მნიშვნელოვანია პუი-ს ელასტიურობის ანალიზი. პროფესიული ლიტერატურის მიხედვით, პუი-ს ელასტიურობის კოეფიციენტი უნდა იყოს უარყოფითი და დაახლოებით უდრიდეს -0,2. ესტონეთში არსებული სტატისტიკით, ირაციონალური შემთხვევა ფიქსირდება. როგორც ცხრილიდან ჩანს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ელასტიურობა (1999 წლის მიხედვით) მერყეობდა -1.72 და +3,08-ს შორის. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ 1999 წელი, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ყველაზე ცუდი იყო, მაგრამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ელასტიურობა (1998 წლის მიხედვით), მერყეობდა -0,69-0,87 შორის.

აღმოსავლეთ ევროპაში მოგების გადასახადით დაბეგრვის შედარება 2003 წ.

ცხრილი № 3.2

	მოგების გადასახადის განაკვეთი %	მოგების გადასახადის წილი საგადასახადო შემოსავლებში %
ბულგარეთი	15	6,4
ხორვატია	20	2,57
ჩეხეთი	31	8,3
ესტონეთი	0	3,58
უნგრეთი	18	6,92
ლატვია	19	6,72
ლიტვა	5	3,02
პოლონეთი	24	8,81
რუმინეთი	25	11,43
რუსეთი	35	11,69
სლოვაკეთი	25	9,09
სლოვენია	25	3,51

წყარო: ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი ოლეგ რაჟუ

როგორც ცხრილიდან ჩანს ესტონეთი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არ არის მიმზიდველი ინვესტორებისთვის, მისი საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ხორვატია, ლიტვა და სლოვაკეთი, სადაც „Specials Benefits“ არ იბეგრება, ნაკლებად მიმზიდველი როდია ინვესტორებისათვის, მოგების დაბეგრვის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ (პუი) არ რეაგირებს მოგების გადასახადებს შორის სხვაობაზე ან მისი რეაქცია უმნიშვნელოა. ასევე, შეუძლებელია კონკრეტულად მოგების გადასახადის გაუქმების, პუი-სა და ეკონომიკის სხვა ფაქტორებზე ზეგავლენის გამოყოფა, სხვა ეკონომიკური ინდიკატორების ზეგავლენისაგან. ამკარაა, რომ ესტონეთში არსებული, შედარებით იაფი სამუშაო ძალა და უფრო მაღალი რეპუტაცია აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, ვიდრე მოგების გადასახადის ესტონური მოდელი.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, ესტონური ექსპერიმენტი მოგების გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით, არ იძლევა ესტონეთისათვის, რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ბრძოლაში. რაც შეეხება ინოვაციურობას, ესტონური მოდელი კომპანიებს საშუალებას აძლევს, განკარგონ მოგება დაბეგრვის გარეშე, ულიმიტოდ, რაც ასუსტებს მათ სტიმულს, დააბანდონ და დახარჯონ ფული ინოვაციური განვითარებისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც იმოქმედა ესტონურ ეკონომიკაზე, არის 2004 წელს, ესტონეთის გაწევრიანება ევროკავშირში. ანალიზის დროს საჭიროა ორი ასპექტის გათვალისწინება - ესტონური საგადასახადო სისტემის ცვლილების კავშირი, ევროკავშირში გაწევრიანებასა და 2008-2010 წლების კრიზისთან.

ესტონეთს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის, არ განუხორციელებია პრინციპული ცვლილებები. მაგ: გაიზარდა აქციზი საწვავსა და თამბაქოზე. იმისათვის, რომ ესტონურ საგადასახადო სისტემას დაეკმაყოფილებინა ევროკავშირის რეგულაციები, შეიტანეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც განსაკუთრებით იმოქმედეს რუსეთის, უკრაინისა და აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობებზე.

ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევისათვის, ესტონეთს დაევალა საგადასახადო სისტემის შეცვლა არაუგვიანეს 2008 წლის 31 დეკემბრამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგების გადასახადის ესტონურ მოდელს, არ მოუტანია განსაკუთრებული

შედეგები ეკონომიკისათვის, შესაბამისად 2009 წლის იანვარში მიღებულმა კანონებმა, რომლებიც ძირითადად ფორმალური იყო და მხოლოდ ტერმინების დაზუსტებას გულისხმობდა, ვერ მოიტანა რეალური ცვლილება, 2000 წლის მდგომარეობასთან შედარებით.

ევროპის ეკონომიკური განვითარების ისტორიაში, მნიშვნელოვანი მომენტი 2008-2010 წლების კრიზისი. მისი შედეგები სხვადასხვა ქვეყნისათვის განსხვავებული იყო. კრიზისი დაიწყო ფინანსურ სექტორში. შესაბამისად, უპირველესად, იმ ქვეყნების ეკონომიკა დაზარალდა ყველაზე მეტად, რომელთა მშპ-ს დიდი წილი მოდიოდა ფინანსურ სექტორზე. ამ სახელმწიფოებმა მკაცრი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად, მოახერხეს სიტუაციის სტაბილიზირება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი, კრიზისი უფრო გამწვავდა და დაემსგავსა 1929-1932 წლების დიდი დეპრესიის პერიოდს, განსაკუთრებით ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ესტონეთის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის საგადასახადო შემოსულობების უმსხვილეს წყაროს, ირიბი გადასახადები წარმოადგენს. მოხმარების შემცირებასთან ერთად, მცირდება საგადასახადო შემოსულობებიც. შესაბამისად, არსებული კრიზისის ფონზე, ესტონეთის დაგეგმილი ბიუჯეტი, დეფიციტური აღმოჩნდა.

საგადასახადო შემოსულობები ესტონეთის ბიუჯეტში 2005-2010 წწ. (მლნ კრონა)

ცხრილი № 3.3

	2005	2006	2007	2008	2009	2010
მთლიანი საგადასახადო შემოსულობები	53831	55208	67718	70396	63780	61767
საშემოსავლო გადასახადი	10911	3846	4786	4328	2419	3220
მოგების გადასახადი	2365	3123	4083	4166	4010	2425
დღგ	14021	18645	22304	20548	18809	19030
აქციზი	6424	7030	8195	8971	9818	9511
სათამაშო ბიზნესის გადასახადი	292	354	467	484	278	215
სოციალური გადასახადი	18392	21764	27268	31299	28084	26970
სხვა გადასახადები	1079	45	66	92	55	51

წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური

ცხრილი №5.3 გვიჩვენებს, რომ სოციალური გადასახადის წილი ბიუჯეტში, 2004-2008 წლებში, იზრდებოდა 34,2 %-დან, 44,4 %-მდე. კრიზისმა, რომელიც დაიწყო 2008 წელს, შეაფერხა ხელფასების გაცემა და უმუშევრობის ზრდასთან ერთად, შეამცირა სოციალური გადასახადის შემოსულობები. ამის შედეგად, ესტონური ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა 2010 წელს. ირიბ გადასახადებზე დაფუძნებული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობები პერიოდულად იზრდება, თუმცა მაღალი ელასტიურობის გამო, მოწყვლადია სხვადასხვა სტრესული ფაქტორების მიმართ, განსაკუთრებით კრიზისის პერიოდში.

მშპ-ს, საგადასახადო შემოსავლებისა და საშუალო ხელფასის დინამიკა პროცენტებში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით

ცხრილი № 3.4

პერიოდი	2007				2008				2009		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
მშპ	9,8	7,6	6,4	4,5	0,4	-1,4	-3,3	-9,9	-15,1	-16,5	-15,6
საგადასახადო შემოსავლები	27,6	28,4	18,6	48,2	10,2	5,7	7,1	-2,8	-10,1	-12,1	-13,6
საშუალო ხელფასი	20,1	21,2	12,9	20,2	19,5	15,2	14,8	6,9	-1,5	-4,4	-5,9

წყარო: ესტონეთის ფინანსთა სამინისტრო

ცხრილიდან №5.4-დან ჩანს, რომ საგადასახადო შემოსავლები, რეაგირებენ მშპ-ს ცვლილებაზე გარკვეული პერიოდის დაგვიანებით. ესტონური ბიუჯეტის სპეციფიკურობა - ირიბი გადასახადების დიდი წილი - წარმოქმნის სპეციფიკურ ეფექტს: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-სთან შედარებით, უფრო მეტად არიან კორელაციაში ხელფასების ცვლილებასთან, (განსაკუთრებით 2008 წელს). მშპ-სთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების შედარებით ნაკლებად შემცირება, (2009 წელს) გამოწვეულია აქციზისა და დღგ-ს განაკვეთების 2%-იანი ზრდით.

ამკარაა, რომ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობების შემცირებამ, შეამცირა ხელისუფლების შესაძლებლობა დახმარებოდა და სტიმული მიეცა ინოვაციური განვითარების პროცესებისათვის. შემცირება გამოიხატება ორი ფორმით: ბიუჯეტიდან რეალური ინოვაციური პროექტების დაფინანსებისა და ზოგადად ბიზნეს-სექტორის ფულადი მხარდაჭერის შემცირება. საინვესტიციო დინამიკა: 84,4 მლნ კრონა (2007 წ.); 73,7 მლნ კრონა (2008 წ.); 50,1 მლნ კრონა (2009 წ.) და 45,7 მლნ კრონა (2010 წ.) გვაჩვენებს,

რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მშპ-ს და ბიუჯეტის შემცირება. შემცირებამ 45%-ს გადააჭარბა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეფერხდა ყველა სახის საინვესტიციო საქმიანობა. ასევე, ვერც ბიუჯეტის თანამედროვე სისტემა უწყობს ხელს ინოვაციური პროცესების განვითარებას.

გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოები უნიკალურია მათი ეკონომიკური პროცესებით. მათი განვითარების სპეციფიკურობა, იძლეოდა შესაძლებლობას, რომ შეექმნათ თანამედროვე ინსტიტუციები, საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ეფექტური და ინოვაციური გარემოს შემქნასა და ბიზნესისათვის, სწრაფი განვითარების გარანტიას. დღეისათვის, ესტონური მოდელი საკამათოა და არ ამართლებს მოლოდინს. 1993-1999 წლებში, საგადასახადო სისტემის ზეგავლენა ესტონური საზოგადოების განვითარებაზე, განსაკუთრებით ეკონომიკურ გარემოზე, სუსტი იყო.

ესტონური საგადასახადო სისტემა შეიცვალა 2000 წელს. 2000 წლის შემდეგ მოგების ესტონური მოდელი მოქმედებს. რეფორმის მიზანი იყო კომპანიებში რეინვესტირების სტიმულირება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. არ არსებობს ცალსახა კორელაცია მოგების გადასახადის გაუქმებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შორის (ესტონეთში). 2000-2003 წლებში პუი-სა და მოგების გადასახადის ელასტიურობა, რომელიც -0,2 ის მაჩვენებელზე უნდა ყოფილიყო, მერყეობდა -1,9-3,8 შორის.

რეფორმის შედეგად, ასეთი უმნიშვნელო ცვლილებები ბიზნესის გარემოში, შეიძლება აიხსნას შემდეგი ფაქტორებით. აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მოგების გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი, დიდად არ განსხვავდებოდა ესტონური მოდელისაგან. ესტონეთმა ვერ მიაღწია სასურველ პოზიციას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან კონკურენციის პროცესში. ასევე მოგების გადასახადის გაუქმება ან მისი დატოვება არ იყო ის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ესტონეთის ბიზნესის გარემოზე. აღსანიშნავია, რომ ესტონეთის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორები, საკმარისად არ არის შესწავლილი. სხვა სახელმწიფოებში, სადაც

მოქმედებს მოგების გადასახადი, ბიზნესის გარემოს ინოვაციურობა აღმოჩნდა უფრო მაღალი, ვიდრე ესტონეთში. 2008 წლის კრიზისმა აჩვენა ესტონური ეკონომიკის სისუსტეები და საგადასახადო სისტემიდან მომდინარე საფრთხეები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ქვეყნის ინოვაციურ გარემოზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა გაცილებით მეტად შემცირდა, ვიდრე (მშპ) და ბიუჯეტი.


დღეისათვის, ესტონეთის საბიუჯეტო შემოსავლების 80% საგადასახადო შემოსავლებია. 2019 წლიდან, ესტონეთში მოქმედებს შემდეგი ძირითადი გადასახადები:

- მოგების გადასახადი - 0%;
- დღგ - 0%, 9%, 20%;
- სოციალური გადასახადი - 33%;
- დივიდენდის გადასახადი - 20/80;
- უმუშევრობის გადასახადი (დასაქმებული) -1,6%;
- უმუშევრობის გადასახადი(დამსაქმებელი) - 0,8%;
- საპენსიო ფონდის გადასახადი - 2%;

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (GCRI), ესტონეთი 29-ე ადგილზეა, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით მე-16, ხოლო საგადასახადო სისტემის კონკურენტუნარიანობის მიხედვით პირველ ადგილზე, ის კვლავ დგას რიგი პრობლემების წინაშე:


მშპ-ს ზრდის დაბალი ტემპი:

გრაფიკი № 3.1



წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური


გრაფიკი № 3.2



წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების არასტაბილური ტრენდი:


გრაფიკი № 3.3



წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

დემოგრაფიული კრიზისი:

გრაფიკი № 3.4



წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური

მოსახლეობის შემცირების შესაჩერებლად საჭიროა სახლემწიფოს მხრიდან სხვადასხვა სოციალური პროგრამების შექმნა, რათა მოსახლეობის კეთილდღეობა გაუმჯობესდეს. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ესტონეთი ბიუჯეტს აბალანსებს საჯარო სექტორში, დაბალი ხელფასების შენარჩუნებით, ხოლო სოციალურ პროექტებში ინვესტიციას ახდენს ევროკავშირის დახმარების ხარჯზე. მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნიდან და ევროკავშირის დახმარების მოცულობის შემცირება ცხადყოფს, რომ არსებული საგადასახადო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის მოთხოვნებს. ჩნდება კითხვა თუ რომელი გადასახადები უნდა გაზარდოს ესტონეთის ხელისუფლებამ. ესტონეთმა უნდა მოძებნოს გზა, თუ რით დააკომპენსიროს არასაგადასახადო შემოსულობების შემცირება, ამის კარგი მაგალითია სკანდინავიური მოდელი, სადაც საგადასახადო ტვირთი უფრო მეტია, თუმცა ამავე დროს ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ყველაზე მაღალ სტანდარტებს მსოფლიო მასშტაბით.

ესტონური საგადასახადო სისტემის ძირითადი ტვირთი მოდის ირიბ გადასახადებზე, შესაბამისად ფიზიკურ პირებზე. ერთის მხრივ ასეთი მიდგომა განპირობებულია ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ვალდებულებით, რომელიც გულისხმობს დღგ-სა და აქციზის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და მეორეს მხრივ, ესტონური ხელისუფლების იდეოლოგიით „Leave Alone, რომელიც გულისხმობს ბიზნესის გადასახადების მინიმიზაციას. იმისათვის, რომ მოგების გადასახადის გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ბიუჯეტის დეფიციტი აღმოეფხვრათ, მთავრობამ გაზარდა ირიბი გადასახადები, განსაკუთრებით აქციზის გადასახადი. შედეგად, ესტონური საგადასახადო სისტემა გახდა დაუბალანსებელი. ასეთი სისტემის პირობებში, წარმოიქმნება რისკები: ეკონომიკის დამოკიდებულება მოხმარების ციკლზე იზრდება; გაზრდილი ირიბი გადასახადები ზრდიან სამომხმარებლო პროდუქციის ფასებს, რაც უარყოფითად აისახება დაბალი სოციალური ფენების კეთილდღეობაზე; იზრდება არალეგალური ვაჭრობის მოცულობა, განსაკუთრებით აქციზურ საქონელზე, როგორცაა თამბაქო და ალკოჰოლი. ესტონეთის მოსახლეობა მიგრირებს დასავლეთის უფრო მდიდარ ქვეყნებში ან ესტონეთის მეზობელ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ფასები

სამომხმარებლო პროდუქტებზე უფრო დაბალია. შესაბამისად, ირიბ გადასახადებზე აგებული საგადასახადო სისტემა არაპროგნოზირებადი და არამდგრადია.

სოციალური გადასახადის ტვირთი გადამეტებულად აწვება დასაქმებულებს. ამ მაჩვენებლით, ესტონეთი პირველ ადგილზეა ევროკავშირის ქვეყნებს შორის. სოციალური გადასახადი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება კომპანიებისათვის, ხელფასების ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. სამწუხაროდ პოლიტიკური დოგმატიზმი შეუძლებელს ხდის ესტონური საგადასახადო სისტემის ცვლილებასა და მის მოდერნიზებას. 2000 წლის რეფორმის შემდეგ, ბიზნესზე საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, შედეგად შემცირებული საგადასახადო შემოსულობების დასაკომპენსირებლად, ხელისუფლება იძულებული გახდა გაეზარდა ირიბი გადასახადები, რათა შეენარჩუნებინა არსებული სოციალური პოლიტიკა.

ესტონური საშემოსავლო გადასახადი, რომელიც პროპორციულია, დაცლილია მისი მთავარი ეკონომიკური მახასიათებლებისაგან: საბიუჯეტო შემოსავლების გენერირება, ბიზნეს გარემოში მიმდინარე რყევების ავტომატური სტაბილიზირება და საზოგადოებაში წარმოქნილი დოვლათის გადანაწილება.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი დაუპირისპირდა ეკონომიკისა და ბაზრის პრინციპებს და გაამრუდა ფიზიკური პირის შემოსავლების და სოციალური გადასახადის დაბეგვრის ბაზა. რადგანაც მოგების გადასახადით იბეგრება, მხოლოდ განაწილებული მოგება, შემოსავლების საგადასახადო სისტემა აღარ არის ნეიტრალური იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლების მიმართ. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მხოლოდ ხელფასი, სხვა დანარჩენი ტიპის შემოსავლები გადანაცვლებულია ბიზნესის სექტორის დონეზე. ასეთი გადანაცვლება ძირს უთხრის სოციალური გადასახადის დაბეგვრის ბაზას.

ასევე, ესტონური მოდელის პრობლემას წარმოადგენს მოგების გატანა ქვეყნის გარეთ, გადასახადების გადახდის გარეშე. მაგალითად, საერთაშორისო ბანკების საგადასახადო შენატანები ბიუჯეტში, მინიმალურია რეფორმის შემდეგ.

ესტონეთის ფინანსური ინდიკატორები:

ცხრილი 3.4

	2000	2002	2004	2006	2008	2010	2012
არასაგადასახდო შემოსავლები ბიუჯეტში (%)	10 %	12 %	16%	18,6%	17,1%	27,8%	25,7%
დამსაქმებელთა მიმდინარე სოციალური გადახდები (%)	98%	96%	96%	97%	97%	93%	92%
ფინანსური სექტორის ეფექტური კორპორაციული შემოსავლების გადასახადი	0%	5%	2,5%	0,7%	0%	0%	3,8%

წყარო: ესტონეთის ფინანსთა სამინისტრო

ამავე დროს ძალზედ მარტივია, რომ ბანკმა განახორციელოს მოგების ტრანსფერი, როგორც ინვესტიცია ან სესხი. კომპანიებს აქვთ სრული წვდომა სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ნებისმიერ მომსახურებაზე, რომლებიდანაც ისინი იღებენ მოგებას. ამ ტიპის კომპანიები არ იხდიან გადასახადებს მოხმარებული მომსახურების სანაცვლოდ. შესაბამისად, ეწინააღმდეგებიან საბაზრო ეკონომიკის თანასწორობის პრინციპს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ესტონური საგადასახდო სისტემის ირიბმა გადასახადებმა, ამოწურეს თავისი ლიმიტი და მათგან მეტი შემოსავლების მიღება შეუძლებელია. ერთის მხრივ, მმართველ კოალიციას არ შეუძლია ირიბი გადასახადების ზრდა, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ პოლიტიკურ დაპირებებს, ამავე დროს, მომავალში, საჯარო სექტორის სტაბილური მუშაობისთვის საჭიროა მეტი საგადასახდო შემოსავლების მობილიზაცია. მეორეს მხრივ, ირიბი გადასახადების ლიმიტი

ამოწურულია. შესაბამისად ესტონურმა საგადასახადო სისტემამ დაკარგა ეფექტურობა, ის არის დაუბალანსებელი და აღარ ძალუძს საჯარო შემოსავლების გენერირება.

დაგროვილი პრობლემების მოსაგვარებლად, ესტონეთს ესაჭიროება ფართომასშტაბიანი საგადასახადო რეფორმები. რეფორმების მიზანი უნდა იყოს: საგადასახადო შემოსავლების ზრდა, სოციალური გადასახადის ტვირთის შემცირება დამსაქმებლებზე და მთლიანი საგადასახადო ტვირთის დაბალანსება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. საგადასახადო რეფორმა უნდა იყოს ყოვლისმომცველი და არსობრივად განსხვავებული არსებული სისტემისაგან, რათა არ მოხდეს ეკონომიკური პროცესების უფრო მეტად დეფორმაცია. სოციალური გადასახადის განაკვეთი უნდა შემცირდეს და გადანაწილდეს საშემოსავლო გადასახადზე, როგორც კორპორაციული, ასევე ფიზიკური პირების დონეზე. საშემოსავლო გადასახადი უნდა იყოს პროგრესული, რათა მოხდეს საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის. ახლანდელი მოგების გადასახადის მოდელი უნდა გაუქმდეს და დაბრუნდეს მოგების გადასახადის ტრადიციული სისტემა.

თავი IV. სკანდინავიური მოდელი და საქართველოს განვითარების პერსპექტივები

ეკონომიკის სკანდინავიური მოდელი არის სოციალურ-ეკონომიკური წყობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს აქტიურ როლს ეკონომიკურ პროცესებში, განსაკუთრებით, მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით. ეს არის შერეული ტიპის საბაზრო ეკონომიკა, განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურით, საბიზნესო ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და ზოგადად, საწარმოო პროცესების აქტიური მხარდაჭერით. სკანდინავიური ქვეყნები გამოირჩევიან ღიაობით კონკურენტული გარემოსადმი, საერთაშორისო ვაჭრობისადმი, მოქნილი სამუშაო ბაზრით, განათლებაზე ორიენტირებული, მაღალი დანახარჯებითა და სოციალური დაცვის მაღალი დონით. შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში მაღალია ცხოვრების, განათლებისა და დასაქმების დონე, დაბალი კორუფციისა და უთანასწორობის არარსებობის პირობებში. სკანდინავიური ქვეყნების ხელისუფლებამ შექმნა საყოველთაო კეთილდღეობის სისტემა, რომლის მიზანია საზოგადოების კონტროლის ქვეშ, მაღალი ხარისხის საჯარო მომსახურების მიწოდება ყველა მოქალაქისათვის ისეთ სფეროებში, როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება. სკანდინავიურ ქვეყნებში, საჯარო სექტორი მასშტაბურია, საერთო სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ს 60% აღწევს.

ჯანდაცვის სისტემა, პირველ რიგში, არის სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. ის აძლევს დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეებს, მიიღონ საჭირო სამედიცინო დახმარება, თანასწორობის იდეის საფუძველზე. ჯანდაცვის სისტემა ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებიდან, საპროცენტო შემოსავლებისა და სხვადასხვა ფონდების კაპიტალებიდან.

მაგალითად, შვედეთის ჯანდაცვის სისტემის განვითარება განიხილება, როგორც საჯარო სექტორის ვალდებულება და რეალიზდება ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის საშუალებით. შვედეთი ჯანდაცვისა და განათლების სისტემით იკავებს მოწინავე პოზიციას მსოფლიო მასშტაბით. მოსახლეობის უმრავლესობა

ერუდირებულია. განათლების ხარჯების ძირითად ნაწილს უზრუნველყოფს სახელმწიფო. 1950-იან წლებში, ჩატარდა განათლების რეფორმა, რომლის შედეგადაც განათლება მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. შვედურ მოდელში პირველხარისხოვანი როლის უჭირავს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებსა და პარალელურად, სოციალური დამაბულობის შემცირების ინსტრუმენტია. შვედეთის ცხოვრების დონე წამყვანია მსოფლიო მასშტაბით, მრავალი წლის განმავლობაში. ამაზე მეტყველებს სტაბილურად მაღალი მშპ ერთ სულ მოსახლეზე (52 925\$, 2018 წ.) და უმუშევრობის დონე (6,7%, 2018 წ.).

ხელფასების სფეროში, შვედეთში ჩამოყალიბდა სპეციფიკური სისტემა, რომელსაც ეწოდება: „სოლიდალური ხელფასების პოლიტიკა“. ის დამყარებულია რიგ პრინციპებზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება, სამუშაოს სირთულისა და შედეგობრიობის პროპორციულად; თანაბარი ანაზღაურება ანალოგიურ სამუშაოზე ქალისა და მამაკაცისათვის; სხვადასხვა ასაკის მქონე პირებისათვის; ერთ სფეროში დასაქმებულთათვის (დასაქმებული არ უნდა იჩაგრებოდეს დამსაქმებლის დაბალი რენტაბელობის გამო). ზემოთ აღწერილი სისტემის საბაზისო მიზანია, - ცხოვრების დონის ამაღლება.

სახელმწიფო მართლია არ ფლობს წარმოების რესურსებს, მაგრამ განვითარებული საგადასახადო სისტემის საშუალებით ახდენს საგადასახადო შემოსულობების გადანაწილებას, ცალკეული ეკონომიკური დარგებისა და ქვედარგების სტიმულირებისა თუ შეკავების მიზნით. ამავე დროს, ის არეგულირებს ფლობელობის სხვადასხვა ფორმების (კერძო, საჯარო, კოოპერატიული, კომუნალური) ინტერესებს, კერძო საკუთრების ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, რადგან „კერძო ინტერესი“ არის მუდმივი ძრავა, რომლის საშუალებით ვითარდება წარმოება და ინოვაცია.

სკანდინავიური მოდელის მქონე სახელმწიფოები, ადგენენ გრძელვადიანი სტრატეგიული ეკონომიკური განვითარების გეგმებს და საკაკონმდებლო რეგულირების

პერსპექტივებს. ნორდიკული მოდელი შეიცავს კაპიტალისტური და სოციალისტური წყობის მიღწევებს და ახდენს მათ კომბინირებას მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე, სკანდინავიური ქვეყნები წარმოადგენენ კონკურენტუნარიანი, ინოვაციური და ეკონომიკური განვითარებით, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს. ისინი აღწევენ თვალსაჩინო შედეგებს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იკავებენ წამყვან პოზიციებს, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიგებში. სკანდინავიური ქვეყნების მოდელი დაფუძნებულია სამ ძირითად კომპონენტზე:

1. პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე, რაც გამოიხატება საზოგადოებაში, სხვადასხვა საკითხებზე კომპრომისული პოზიციის მიღებისადმი მზაობით; კორუფციის მინიმიზაცია და სიტყვის თავისუფლება;
2. ფართო და ეფექტური სოციალური პროგრამები;
3. ეკონომიკური განვითარებისადმი ინოვაციური მიდგომა;

სკანდინავიური ქვეყნების კეთილდღეობის მიზეზებია:

1. ჰარმონიზაცია კაპიტალსა და შრომას შორის - ყველა ტიპის კონფლიქტი რეგულირდება სახელმწიფოს, კომპანიებისა და პროფკავშირების მონაწილეობით;
2. ადამიანური რესურსების ნაციონალური დაგეგმარება - მაღალი კვალიფიკაციის მქონე დასაქმებული გადაიხდის უფრო მეტ გადასახადს. შესაბამისად, საჭიროა განვითარებული განათლების სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის და მიგრაციის კონტროლი, რათა მოხდეს მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება;
3. სამართლიანი და რაციონალური საგადასახადო სისტემა - აშშ-სგან განსხვავებით სკანდინავიურ ქვეყნებში, საგადასახადო განაკვეთი 5-7%-ით დაბალია. თუ შევადარებთ სკანდინავიელებსა და ბერძნებს საგადასახადო მოვალეობის მოხდის მიხედვით, ჩრდილოეთის ხალხი უფრო პასუხისმგებელია და არ ცდილობს

აარიდოს თავის გადასახადებს. საბერძნეთში კი მენტალიტეტის დონეზეა განვითარებული, გადასახადებისგან თავის არიდება;

4. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაბალი ორიენტაცია - სკანდინავიელებს ურჩევნიათ რეალურ აქტივებში დაბანდება და დანაზოგის შექმნა. ფინანსებში, ძირითადად ჩართული არიან ადგილობრივი კომპანიები. ბანკები და ფინანსური კორპორაციები არ არიან ტრანსნაციონალურები. ეს არის, ერთის მხვრივ, მიზეზი და, მეორეს მხვრივ, შედეგი ფინანსური ბაზრებისა და სპეკულაციურ მოტივებზე ორიენტაციის არაპოპულარულობისა;
5. სახელმწიფოს მხრიდან აქტიური კონტროლი - სკანდინავიური ქვეყნების სახელმწიფო მხარდაჭერა მაღალ დონეზეა. თუ გავიხსენებთ 2007-2009 წლების ლიკვიდურობის კრიზისს, აშშ-მა გაკოტრების პირას მყოფ ბანკებს, გამოყოფილ მსხვილი დახმარება ბიუჯეტის ხარჯზე. შესაბამისად, აშშ-ს მოქალაქეებმა ტრანსნაციონალურ კომპანიებს, ზარალი საკუთარი სახსრებით დაუფარეს. სკანდინავიურ ქვეყნებში, მაგალითად ნორვეგიაში, 80-იანი წლების კრიზისის დროს, მოხდა ბანკების ნაციონალიზაცია და ბანკირების, მენეჯერებისა და დირექტორთა საბჭოების დათხოვნა. რეკაპიტალიზაციის შემდეგ, სახელმწიფომ დაუბრუნა ბანკებს ჯანმრთელი ეკონომიკური მდგომარეობა და შემდგომში, სარფიანად გაასხვისა ბირჟაზე;

სკანდინავიური მოდელის წარმატების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია შვედეთი. შვედეთის ხელისუფლება არეგულირებს ეკონომიკას, სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით. მაგალითად, განხორციელდა რეფორმა, რომელიც გულისხმობდა ხელფასების ეფექტურობის; დარგის სპეციფიკისა და სამუშაოს სირთულის, პროპორციულ გათანაბრებას. რეფორმის მიზანი იყო დაბალპროდუქტიულ დარგებში, ხელფასების ზრდისა და მაღალპროდუქტიულ დარგებში, ხელფასების შემცირების გზით, ეკონომიკური განვითარების ზრდა. შესაბამისად, შვედეთში ხელფასი დამოკიდებულია დარგის სპეციფიკასა და ფირმის პროდუქტიულობაზე. ერთის მხვრივ, დაბალპროდუქტიული ფირმები იძულებულნი არიან გავიდნენ ბაზრიდან, რადგანაც მათ

უწევთ მაღალი ხელფასების გადახდა დასაქმებულთათვის. მეორეს მხრივ, დასაქმებულები მაღალპროდუქტიულ დარგებში, კარგავენ უნარს „დაიპყრონ პროდუქტიულობას შორის სხვაობა“, რაც ზრდის კომპანიის შემოსავლებს.

არაეფექტური კომპანიების შემოსავლების შემცირებასა და მაღალპროდუქტიული კომპანიების შემოსავლების ზრდაზე კაპიტალის რეაგირების შედეგად, სამუშაო ძალა და კაპიტალი იძულებულნი იქნებიან გადავიდნენ არაეფექტური ფირმებიდან, უფრო ეფექტურში, რაც საბოლოო ჯამში ზრდის ეკონომიკის შემოსავლებსა და საზოგადოების თანასწორობას. რეფორმის შედეგად, არაეფექტური კომპანიები იძულებულები გახდნენ გაეზარდათ ეფექტურობა ან დაეტოვებინათ ბაზარი, რის შედეგადაც განხორციელდა ბუნებრივი გადარჩევა და ბაზარზე დარჩნენ ის კომპანიები, რომლებიც უკეთ აკმაყოფილებდნენ საზოგადოებრივ მოთხოვნებს.

სკანდინავიური ქვეყნების სახელმწიფო ხარჯები, აღემატება სხვა ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. შვედეთსა და ფინეთში, სახელმწიფო ხარჯების 50%-ზე მეტი საჯარო სექტორზე მოდის. ძირითადი ნაწილი იხარჯება, - განათლების სისტემის, ჯანდაცვის; სამცნიერო საქმიანობის განვითარებასა და შენარჩუნებაზე. მაგალითად, არსებობს სპეციალური პროგრამები მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სურთ პროფესიის შეცვლა ან სამუშაო რეგიონის შეცვლა მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოები ზრდიან ხარჯებს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე. ხარჯების ასეთი გადანაწილება გამოწვეულია თანასწორობის მაღალი დონით, რომელიც უზრუნველყოფს კლასთა შორის დაპირისპირების მინიმიზაციას; ცხოვრების დონის ზრდასა და ინკლუზიურ განვითარებას. შესაბამისად, რაციონალური და ეფექტური მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საყოველთაო კეთილდღეობაზე, განაპირობებს მრავალი პრობლემის გადაჭრას.

სკანდინავიური მოდელის უარყოფითი მხარეებია:

1. მომსახურებაზე და საქონელზე ფასების ზრდის გამო, მშპ უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე სხვა დასავლურ ქვეყნებში;

2. შრომის პროდუქტიულობა თითქმის არ იზრდება - ეს დაკავშირებულია მომსახურების სფეროს სწრაფ ზრდასთან, რომლის რაციონალიზაციის უნარი შეზღუდულია და საჯარო სექტორის მასშტაბურობასთან, რომელიც უზრუნველყოფს თითქმის 100%-იან დასაქმებას, მაგრამ ამავე დროს, აფერხებს პროდუქტიულობის ზრდას;
3. სრული დასაქმებისა და სტაბილური ფასების შეთავსების სირთულე;
4. ხელფასების სტუქტურა არ შესაბამეობა თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს;
5. შვედური ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია.

საქართველოსგან განსხვავებით, სკანდინავიურ ქვეყნებში შექმნილია პირობები, რათა კაპიტალი არ გავიდეს ქვეყნიდან. ამ ყოველივეს ხელს უწყობს: სპეციალური საგადასახადო რეჟიმი; სამუშაო ბაზარზე ინვესტიციები; სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და დაბალი საპროცენტო განაკვეთი კრედიტებზე.

საქართველოში ამ კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემებია, მათ შორის: ფინანსური რესურსების მოპოვების სირთულე (მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ფინანსური ბაზრის არადივერსიფიცირებულობა); კორუფცია; სასამართლოსადმი უნდობლობა და არაეფექტური სასამართლო პროცესები; რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის დიდი სხვაობა, რაც დაკავშირებულია რესურსების განაწილების არაეფექტურ სისტემასთან; არაკონკურენტული გარემო; პოლიტიკური არასტაბილურობა; არაკვალიფიციური სამუშაო ძალა და სხვა. შესაბამისად, საქართველოს ესაჭიროება, - საკუთარი კონკურენტუნარიანი მხარეების ზუსტი განსაზღვრა; რეგიონების უპირატესობების განსაზღვრა; ინფრასტრუქტურის მასშტაბური განვითარება; ინვესტიციების მოზიდვა და განათლების სისტემის საფუძვლიანი რეფორმირება.

საჭიროა სტრატეგიული დარგების განსაზღვრა და მათი მოდერნიზება, როგორც სახელმწიფო პროგრამების, ასევე საერთაშორისო ინვესტორების საშუალებით. ინვესტორების მოსაზიდად, აუცილებელია საინვესტიციო გარემოს რადიკალური გაუმჯობესება. მაგალითად, - ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში; ტრანსპორტში;

სოციალურ მომსახურებაში; რეგიონებსა და სოციალურ ფენებს შორის არსებული უთანასწორობის რადიკალური შემცირება. ასევე, უნდა მოხდეს საგადასახადო სისტემის საფუძვლიანი რეფორმირება და საგადასახადო შემოსულობების რეზალანსირება, რათა საგადასახადო ტვირთი გადანაწილდეს ეკონომიკურად მდგრად აქტორებზე და შემცირდეს მოსახლეობის მოწყვლად ნაწილზე ზეწოლა.

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საფუძვლიანი ზრდისათვის, აუცილებელია ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება. განვითარებულ ქვეყნებში, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება და ფუნქციონირება ხდება შემდეგი ფუნდამენტური ფაქტორების საფუძველზე:

1. მიზანმიმართული და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა;
2. ეფექტური სამართლებრივი სისტემა;
3. მაღალკონკურენტული ბიზნეს გარემო და მიმზიდველი პირობები, უცხოელი და ადგილობრივი მაღალტექნოლოგიური ინვესტორებისათვის;
4. მეწარმეობის სტრატეგიული განვითარების დაგეგმარება;
5. განვითარებული ფინანსური ბაზარი და ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები;
6. განვითარებული მეცნიერების, განათლებისა და კადრების მომზადების სისტემა;
7. ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში. ეს გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპიდან, რომელიც გულისხმობს კონკურენტული გარემოს არსებობის აუცილებლობას. ეს პრინციპი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობას ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკასთან შედარებით. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს როგორც შიდა, ასევე გარე კონკურენცია.

2004 წელს საქართველოში გაუქმდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა. შესაბამისად, შეწყდა საბაზრო კონკურენციის რეგულირება. 2014 წელს შეიქმნა

კონკურენციის სააგენტო და აღდგა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, თუმცა მისი მუშაობის ეფექტიანობა უაღრესად დაბალია.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების, კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ამაღლების საფუძველია შიდა კონკურენცია. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2019 წლის ინდექსის მიხედვით:

- საქართველო - 66-ე ადგილზეა;
- ესტონეთი - 32-ე ადგილზეა;
- აზერბაიჯანი - 69-ე ადგილზეა;
- რუსეთი - 43-ე ადგილზეა;
- ლიტვა - 40-ე ადგილზეა;
- ლატვია - 42-ე ადგილზეა;
- სომხეთი - 70-ე ადგილზეა;
- უკრაინა - 83-ე ადგილზეა.

რეიტინგის ლიდერები არიან:

1. აშშ;
2. სინგაპური;
3. გერმანია;
4. შვეიცარია;
5. იაპონია;
6. ნიდერლანდები;
7. ჰონგ კონგი;
8. ინგლისი;
9. შვედეთი;
10. დანია;
11. ფინეთი;
12. კანადა;

ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მახასიათებლები, განისაზღვრება ეკონომიკური დონეების მიხედვით: მიკრო (ცალკეული საწარმოები), მაკრო და ჰიპერ დონეები. საწარმოების დონის წყაროებია:

- საწარმოს მესაკუთრეთა ფულადი შენატანების წილი;

- მოგება და ამორტიზაცია: როგორც წესი, დაფინანსების ეს წყაროები არასაკმარისია ძვირი ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის;
- საბრუნავი საშუალებებისა და შიდა აქტივების მობილიზაცია;
- აქციების ემისია;
- საქველმოქმედო დონაციები;
- საბანკო კრედიტი;
- კომერციული კრედიტი;
- ლიზინგი;
- ფრანჩაიზინგი;
- ფორფეიტინგი;
- უპროცენტო სესხები;
- ერთობლივ წარმოებაში წილობრივი მონაწილეობა;
- ობლიგაციები;
- ვენჩურული კაპიტალი.

ქართულ ბიზნესს არ გააჩნია ვენჩურული კაპიტალი. შესაბამისად, ეს ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ, რისი მაგალითებიც გვაქვს, - შვედეთში; ფინეთში; სინგაპურში და სხვა. სახელმწიფოს აქვს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის არაპირდაპირი დაფინანსების სხვადასხვა მეთოდები, - საგადასახადო ინსტრუმენტები; შეღავათები და პრეფერენციები საწარმოების, ქვედარგებისა და დარგებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტებს.

თანამედროვე პრაქტიკაში, საგადასახადო სტიმულების ფართო სპექტრი გვხვდება. ყველაზე გავრცელებულ სტიმულებს, რომლებიც მიმართული არიან მაღალტექნოლოგიური წარმოების წახალისებისაკენ, წარმოადგენენ:

- საგადასახადო კრედიტი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე;
- საგადასახადო არდადეგები, ინოვაციურად აქტიურ, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის;
- ვენჩურული ინოვაციური ფონდების შექმნაზე მიმართული სახსრების, დაბეგვრის შემცირება ან მისგან სრულიად გათავისუფლება;

- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტო სამუშაოების კომერციალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავლებზე, საწარმოებისათვის საგადასახადო პრეფერენციების დაწესება;
- მცირე და საშუალო ინოვაციურ ბიზნესში მოზიდული ინვესტიციების შეღავათიანი დაბეგვრა.

მაკროეკონომიკურ დონეზე, ინოვაციური საქმიანობა ხარისხობრივად იცვლება, რადგანაც ვხვდებით არა კონკრეტული პროდუქტის წარმოების პროცესს, არამედ სახელმწიფოს ან მისი რომელიმე რეგიონის, ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეცნიერების, განათლებისა და კადრების მომზადების სისტემის დაფინანსებას. გლობალური გამოცდილების მიხედვით, ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზემოქმედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, პირდაპირ დამოკიდებულია მშპ-ს წილზე, რომელიც იხარჯება სამეცნიერო კვლევებზე. შესაბამისად, მშპ-ს მეცნიერებატევადობა თანამედროვე სამყაროში განიხილება, როგორც ინოვაციურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი.

გლობალური გამოცდილების მიხედვით, თუ ქვეყნის მეცნიერებატევადობის მაჩვენებელი ნაკლებია 0,4%-ზე (საქართველოში ეს მაჩვენებელი აღწევს 0,2%), მაშინ მეცნიერების ეფექტურობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია და შეუძლია შეასრულოს ცალკეული სოციო-კულტურული ფუნქცია. თუ მაჩვენებელი 0,9-1% შორის მერყეობს, მაშინ შესაძლებელია გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობის მქონე შედეგების მიღება. ხოლო დაფინანსების 1%-იანი ნიშნულის გადალახვის შემდეგ, მეცნიერებას უკვე შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ეკონომიკურ განვითარებაზე, რადგანაც რადიკალურად იზრდება მეცნიერების ეკონომიკური ფუნქცია.

მეცნიერების განვითარებასათვის, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციულ-კომუნიკაციური სისტემების შექმნა და ლიდერი ქვეყნების მიღწევების გაზიარება, თუნდაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის ხარჯზე. ასეთი პრაქტიკა თანამედროვე მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული.

ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა და დაფინანსება. მაგალითად, - ტექნოპარკები; ტექნოპოლისები; ბიზნეს-ინკუბატორები; ტექნიკურ-დანერგვითი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები; ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები; ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები; სასწავლო-საქმიანი ცენტრები და სხვა. საქართველოსათვის, ინოვაციური განვითარების საწყის ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნეს-ინკუბატორებს, რომელთა საშუალებითაც, შესაძლებელია ბიზნესმენტა კლასის შექმნის პროცესის დაჩქარება.

განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევიან, უნივერსიტეტებთან და ტექნოპარკებთან არსებული ბიზნეს-ინკუბატორები. აშშ-ის ბიზნეს-ინკუბატორების ეროვნული ასოციაციის მონაცემებით, წარმატებული კომპანიების პროცენტული თანაფარდობა გაკოტრებულ კომპანიებთან მიმართებით, შეადგენს 20/80-ს ინკუბატორის პირობებში კი 80/20-ს. შესაბამისად, საუნივერსიტეტო ინკუბაციის მოდელი იძლევა 90%-იან წარმატებას.

იუნესკოს 2018 წლის სტატისტიკის მიხედვით, მეცნიერებატევადობის მაჩვენებლის მიხედვით ლიდერი ქვეყნები არიან:

1. სამხრეთ კორეა;
2. ისრაელი;
3. იაპონია;
4. ფინეთი;
5. შვეიცარია;
6. ავსტრია;
7. შვედეთი
8. დანია;
9. გერმანია;
10. აშშ;
11. სლოვენია;
12. ბელგია;
13. საფრანგეთი;

14. სინგაპური;
15. ავსტრალია.

2000 წელს შემუშავებული ლისაბონის სტრატეგიის მიზანი, ევროპაში, საშუალოდ 3%-იანი მეცნიერებატევადობის მაჩვენებლის მიღწევის საშუალებით, ცოდნაზე დაფუძნებული სამეცნიერო და ეკონომიკური სივრცის შექმნა იყო. 2018 წლის მონაცემებით, მეცნიერებატევადობის მაჩვენებელმა ევროპაში, 2,4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებაში, მრეწველობის წილი საშუალოდ 40-45%. კანონზომიერებაა, რომ ეს მაჩვენებელი მინიმალურია საბერძნეთში (31%), სადაც სუსტად განვითარებული მრეწველობაა და მაქსიმალურია გერმანიაში (66%).

2007-2012 წლების გლობალურ რეიტინგებში, საქართველო არსად არ ფიგურირებს, რადგანაც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ დამალა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მეცნიერებატევადობის მაჩვენებელი 0,16%-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩებოდა ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: მოლდოვა - 0,53%; სომხეთი 0,27%; აზერბაიჯანი - 0,25%; უგანდა - 0,41%; ზამბია - 0,34%; ეთიოპია - 0,24% და ბურკინა ფასო - 0,2%. 2016-2018 წლებში, საქართველოს მეცნიერებატევადობის მაჩვენებელმა შეადგინა 0,2%. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემის დაფინანსება გაიზარდა, ლაბორატორიების არარსებობის და ჩამორჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების პირობებში, პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომელთა მოღვაწეობა არაეფექტურია. ასევე, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები ვერ ამზადებენ უნივერსიტეტებისათვის საჭირო პროფესურის კადრებს, რის შედეგადაც 1990 წლიდან დღემდე, მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა შემცირდა 50 000-დან 2000-მდე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, გეზი აიღო ევროპულ ფასეულობებსა და ცხოვრების სტანდარტებზე. 2004-2018 წლების ჩათვლით, მშპ-ს საშუალო ზრდა შეადგენდა 4-5%. 2018 წლის მონაცემებით, მშპ გაიზარდა 4,7%-ით. ზრდის ასეთი ტემპებით, საქართველო შეძლებს მიაღწიოს ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყნის

დღევანდელ დონეს, მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლით, მხოლოდ 18-20 წლის შემდეგ.

საქართველოს 2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით, - განათლების; მეცნიერების; კულტურისა და სპორტის სამინისტროზე გამოყოფილია 1,5 მლრდ ლარი, რაც საქართველოს მშპ-ს 2,5-3% შეადგენს. ამ მაჩვენებლით, საქართველო 60-70-ჯერ ჩამორჩება ფინეთს, დანიასა და ირლანდიას. რადიკალური ცვლილებების გარეშე, საქართველო არათუ ინოვაციური ქვეყანა გახდება, არამედ უფრო სწრაფად ჩამორჩენადი. სწრაფი ინოვაციური განვითარების თვალსაჩინო მაგალითია სამხრეთ კორეის ეკონომიკა, სადაც დაფინანსება 1971-1988 წლებში 220-ჯერ, ხოლო მშპ 36,6-ჯერ გაიზარდა. რის შედეგადაც, ღარიბი და ჩამორჩენილი კორეა, 40 წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალტექნოლოგიურ და განვითარებულ ქვეყნად მოგვევლინა.

აღსანიშნავია განვითარებული მეცნიერების მქონე ქვეყნების დაფინანსების გამოცდილება:

- ფუნდამენტური მეცნიერებები 15-20%;
- გამოყენებითი კვლევები 25-30%;
- საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები 55-60%.

ინოვაციური განვითარების დონით, ევროკავშირსა და დანარჩენ მოსფლიოში, მოწინავე ადგილი უჭირავთ სკანდინავიურ ქვეყნებს. ასეთი წარმატების საწინდარია არამარტო ეკონომიკური პოლიტიკა, არამედ სამუშაო ძალის მაღალი ხარისხიც, როდესაც იგი იძენს ადმინაური კაპიტალის თვისებას. ადმინაური კაპიტალი ვითარდება მასშტაბური ინვესტიციების ხარჯზე, - განათლებაში; ჯანდაცვაში; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; ოჯახების მხარდაჭერაში; პროფესიულ მობილობაში და სხვა. გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით, სკანდინავიური ქვეყნები წამყვან პოზიციებზე არიან:

- ნორვეგია - 1;
- ისლანდია - 6;
- შვედეთი - 7;

- დანია - 11;
- ფინეთი - 15.

ასევე:

- ესტონეთი - 30;
- ლიტვა - 35;
- ლატვია - 41;
- რუსეთი - 49;
- ბელარუსია - 53;
- საქართველო - 70;
- აზერბაიჯანი - 80;
- სომხეთი - 83;
- უკრაინა - 88.

ნორდიკული ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებაში, დიდი წვლილი შეიტანა ორხუსისა და უფსალას უნივერსიტეტების პროფესორის ბ.ო. ლუნდვალის ინოვაციის ახალმა ფილოსოფიამ. მან გამოიკვლია მოხმარების მწმუნელობა ინოვაციური განვითარების პროცესში, რის შედეგადაც აჩვენა, რომ ინოვაციური განვითარების მთავარ პირობას, ნაციონალური ინოვაციური სისტემები წარმოადგენენ. ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ინოვაციური ფირმების როლი.

სკანდინავიური ქვეყნები, მსოფლიო მასშტაბით, ლიდერობენ პერსონალური კომპიუტერების გავრცელების მხვრივ. მაგალითად, შვედეთში არჩევნები ელექტრონული ფორმით ტარდება. დანია მსოფლიო ლიდერია, - ქარის ენერგეტიკაში, ბიოტექნოლოგიებში, სამედიცინო ტექნიკაში და ფარმაციის დარგში. დანიური მაღალტექნოლოგიური კომპანიები და ორგანიზაციები, მაგალითად ფარმაცევტული მრეწველობის დანიური ასოციაცია, დარგის მთლიანი ბრუნვის 15-18% ხარჯავს კვლევით სამუშაოებზე. ასევე, დანიაში შექმნილია „ჩრდილოეთის ზღვის სახელმწიფო ფონდი“, რომელიც ნავთობის რეალიზაციით მიღებულ მოგებას ხარჯავს სამცენიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე.

დღეისათვის, დანიაში მოქმედებს 180 ბიოტექნოლოგიური კომპანია. კერძო სექტორში, კვლევით სამუშაოებზე დანახარჯების მეოთხედი ხმარდება ბიოტექნოლოგიის განვითარებას. დანიის ინოვაციურ განვითარებაში, მნიშვნელოვანი რეგიონია ერესუნი. ის აკავშირებს დანიურ ზელანდიასა და შვედურ სკონეს. რეგიონი, ევროკავშირში მოზიდული ინვესტიციების სიდიდით, მესამე ადგილზეა, მასზე მოდის სკანდინავიის მთლიანი ინვესტიციების 38%. ერესუნის სპეციალიზაციაა, - ინფორმაციული; სატელევიზიო; კომუნიკაციების; ელექტრონიკის; მედიცინისა და ბიოტექნოლოგიის განვითარება. ასევე, შექმნილია ინოვაციური ქსელი „Medison Valley Academy“, რომელიც აერთიანებს 300 კვლევით კოლექტივს; 26 საავადმყოფოს; 6 სამეცნიერო პარკს; 13 უნივერსიტეტს; 115 ბიოტექნოლოგიურ კომპანიასა და სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელ 130 კომპანიას. საერთო კოოპერაციის საშუალებით, ინოვაციური ქსელის მონაწილეები იყენებენ სინერჯის ეფექტს, დანიური პრეპარატების ხარისხის ასამაღლებლად.

დანიიაში, ელექტროენერჯის მოხმარების 25-% მწვანე ენერჯით იფარება. დანიური კომპანიები აწარმოებენ საქარე ტურბინების 38%. საქარე ტურბინების წარმოების დარგში დასაქმებულია 20 000 ადამიანი. წარმოებული ტურბინების 90% გადის ექსპორტზე. ინოვაციური პოლიტიკის გატარებაში, მთავრობის გარდა აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, მაგალითად, - მრეწველობის კონფედერაცია; დანიის ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემია; დანიური ბანკების ასოციაცია; მცირე და საშუალო საწარმოების ფედერაცია და ცალკეული კომპანიები.

სკანდინავიურ ქვეყნებში, უნივერსიტეტების უმრავლესობა სახელმწიფოს საკუთრებაა, ხოლო კერძო უნივერსიტეტები იღებენ სუბსიდიებს. აღსანიშნავია, რომ 1960-იან წლებში, ფინეთში მხოლოდ 2 უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა, 1970-იან წლებში კი ათ სხვადასხვა ქალაქში, უკვე 20 სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედებდა. ფინეთი არის პიონერი, „სილიკონის ველის“ დანერგვის თვალსაზრისით, ევროპაში. ოულუს უნივერსიტეტთან შეიქმნა ტექნოპარკი, რომელიც მოიცავდა განათლებას, კვლევასა და

ინოვაციის დანერგვას. დღეისათვის, მსგავსი ტექნოპარკები ფინეთში 20-ზე მეტია. აშშ-ის სილიკონის ველისაგან განსხვავებით, მათ აფინანსებს სახელმწიფო და არა კერძო სექტორი.

შვედეთში მოქმედებს 13 სახელმწიფო და 2 კერძო უნივერსიტეტი. სტუდენტების საერთო რაოდენობაა 350 000; პროფესორ მასწავლებელთა 33 000; საშუალოდ, 10 სტუდენტზე მოდის ერთი პედაგოგი. სამეცნიერო კვლევების ხარჯების 25% მედიცინაზე; 22% ტექნოლოგიურ დამუშავებაზე; 19% საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე; 11% სოციალურ მეცნიერებებზე; 6% კი ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე მოდის. დანახარჯების 49% იხდის სახელმწიფო, ხოლო 51% იფარება გარე წყაროებიდან. 1983 წელს, ქალაქ ლუნდში, შეიქმნა ნორდიკულ ქვეყნებში, პირველი ტექნოპარკი „იდეონ“, რომლის ძირითადი სპეციალიზაციაა, - საინფორმაციო ტექნოლოგიები; ბიოტექნოლოგიები და ფარმაცია. აქციების 60% უნივერსიტეტის საკუთრებაშია. პარალელურად, სწრაფად ვითარდება შვედეთის უმსხვილესი ტექნოლოგიური პარკი „ჩისტე“, რომელიც მოიცავს 350 კომპანიასა და 10 კვლევით ინსტიტუტს. შვედეთის სტრატეგიული კვლევების ფონდი და ინოვაციური სისტემების სამთავრობო სააგენტო „ვინნოვა“, აფინანსებს ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვას.

შვედეთის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სექტორი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორია. ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობის 15% შეადგენენ სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები. ამ სექტორის ფინანსურ მხარდაჭერაში, კერძო სექტორთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს საჯარო სექტორიც. შვედური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს შორის აღსანიშნავია, - აღმოჩენები გენურ ინჟინერიაში, ფუნქციურ გენომიკაში პროტეომიკაში, მიკრო და ნანო ტექნოლოგიებში.

ასევე, აღსანიშნავია ფინეთის ინოვაციური განვითარებისა და მეცნიერების დაფინანსების სისტემა:

- უნივერსიტეტების ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსება;
- მეცნიერთა აკადემიის მიერ უნივერსიტეტების ბიუჯეტის დაფინანსება (16%);
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შემუშავების მხარდაჭერი სახელმწიფო ფონდები.

მეცნიერებათა აკადემია, რესურსების ძირითად ნაწილს ხარჯავს ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებაში. გამოყენებითი კვლევების დაფინანსების ძირითადი წყაროა ფონდი „TEKES“-ი (30%). „SITRA“-ს ფონდი აფინანსებს ახალი ფორმების შექმნასა და განვითარებას. „SITRA“-ს გამოცდილება ამსხვრევს ნეოლიბერალურ მითს, სახლემწიფო კომპანიების წამგებიანობისა და არაეფექტურობის შესახებ.

სკანდინავიურ ქვეყნებში, სოციალური ფენების დიფერენციაცია ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიო მასშტაბით. ჯინის კოეფიციენტი 3-4- ჯერ დაბალია ვიდრე აშშ-სა და სინგაპურში და ორჯერ უფრო დაბალია ვიდრე საქართველოში. ნორდიკულ ქვეყნებში, სიღარიბის ზრვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეების რიცხვი, მხოლოდ 3% შეადგენს. ასევე, აღსანიშნავია სხვა რეიტინგებიც:

ცხრილი № 4.1

	შვედეთი	ნორვეგია	დანია	ფინეთი
ცხოვრების დონის ინდექსის მიხედვით (2018)	4	3	5	11
ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი მიხედვით (2018)	7	3	2	1
ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	7	1	11	15
კორუფციასთან ბრძოლის ინდექსი მიხედვით (2018)	3	7	1	3
კვალიფიციური სამუშაო ძალის ინდექსის მიხედვით (2018)	9	8	11	3
ჯანდაცვის ხარჯების ინდექსის მიხედვით (2015)	7	1	11	15
ნომინალური მშპ, ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლის მიხედვით (2018)	12	4	10	16
ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2018)	9	16	10	11
შრომის მწარმოებლურობის ინდექსის მიხედვით (2017)	10	2	4	13
ფინანსური ბაზრის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	6	23	12	3
ინოვაციური პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	5	20	12	10
კვლევებისა და მეცნიერების განვითარების	9	22	14	16

ინდექსის მიხედვით (2018)				
--------------------------	--	--	--	--

ცხრილი № 4.2

	ესტონეთი	ლიტვა	ლატვია
ცხოვრების დონის ინდექსის მიხედვით (2018)	44	57	48
ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი მიხედვით (2018)	55	42	53
ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	30	35	41
კორუფციასთან ბრძოლის ინდექსი მიხედვით (2018)	18	38	41
კვალიფიციური სამუშაო ძალის ინდექსის მიხედვით (2018)	20	27	31
ჯანდაცვის ხარჯების ინდექსის მიხედვით (2015)	30	35	41
ნომინალური მშპ, ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლის მიხედვით (2018)	42	46	49
ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2018)	32	40	42
შრომის მწარმოებლურობის ინდექსის მიხედვით (2017)	26	29	30
ფინანსური ბაზრის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	46	76	94
ინოვაციური პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	33	42	52
კვლევებისა და მეცნიერების განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	36	41	52

ცხრილი № 4.3

	საქართველო	რუსეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი
ცხოვრების დონის ინდექსის მიხედვით (2018)	-	72	-	70
ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი მიხედვით (2018)	119	68	116	90
ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	70	49	83	80
კორუფციასთან ბრძოლის ინდექსი მიხედვით (2018)	41	138	105	152
კვალიფიციური სამუშაო ძალის ინდექსის მიხედვით (2018)	44	43	41	36
ჯანდაცვის ხარჯების ინდექსის მიხედვით (2015)	70	49	83	80

ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2018)	66	43	70	69
ფინანსური ბაზრის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	88	86	87	96
ინოვაციური პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	85	36	60	71
კვლევებისა და მეცნიერების განვითარების ინდექსის მიხედვით (2018)	75	27	61	110

მრავალ რეიტინგზე დაყრდნობით, ვხედავთ, რომ სკანდინავიური მოდელი წარმატებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში. შესაბამისად, სკანდინავიური ქვეყნები იკავებენ წამყვან პოზიციებს მრავალ რეიტინგში. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, საჭიროა არსებული განვითარების ხედვის რადიკალური ცვლილება და სკანდინავიური მოდელის ეტაპობრივი დანერგვა.

დასკვნები და წინადადებები

მსოფლიო საგადასახადო დაბეგვრის გამოცდილება, თეორია და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საგადასახადო პოლიტიკის გატარებისას არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი ნებისმიერი შემთხვევისთვის. საგადასადო სისტემა, პოლიტიკა და მისი განვითარება უნდა პასუხობდეს არსებულ მაკროეკონომიკურ გამოწვევებს და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებს. ამავე დროს გადასახადები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვეყნის წინაშე არსებული ყველა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის საშუალება, თუმცა ევროპული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამართულ საგადასახადო სისტემას შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა და მსოფლიო კრიზისებისადმი მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც მოითხოვს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური განვითარების პარალელურად სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას, სტრატეგიულ ხედვასა და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან გეგმას.

მიუხედავად მრავალი რეფორმისა საქართველოში ვერ შეიქმნა გამართული და მწყობრი საგადასახადო კანონმდებლობა, რის გამოც მუდმივად მიმდინარეობდა და დღემდე მიმდინარეობს საგადასახადო კანონმდებლობაში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა. ხშირი ცვლილებების პირობებში ბიზნესსექტორისათვის რთულია საგადასახადო სისტემის დროული და გაცნობიერებული აღქმა, რაც იწვევს სამეწარმეო საქმიანობის მოტივაციის შემცირებას, ამლიერებს უარყოფით დამოკიდებულებას გადასახადის გადახდასთან მიმართებაში და ამცირებს მეწარმის ეფექტიანობას.

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და გააზრებულადაა ფორმირებული საგადასახადო პოლიტიკა. შესაბამისად, ხელისუფლების მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადების საფუძველზე დაბეგვრის ისეთი განაკვეთების შემოღება, რომლებიც არ შეზღუდავს მეწარმის ეკონომიკურ ატივობას და ამავე დროს

უზრუნველყოფს ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების საჭირო დონეს. საქართველოს გამოცდილების, ესტონური მოდელის ანალიზისა და სკანდინავიური მოდელის განხილვის შედეგად გამოიკვეთა გადასახადების დიფერენცირების აუცილებლობა. მაგალითად: მოგების გადასახადის გაუქმების სანაცვლოდ, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის მრავალსაფეხურიანი განაკვეთების დაწესება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის პრიორიტეტული დარგების სწრაფ განვითარებას, ინოვაციური სტარტაპების და რეალური საწარმოო სექტორის წახალისებას, საექსპორტო დარგების არსებული პოტენციალის რეალიზაციას.

საქართველოში მოსახლეობის ცნობიერება გადასახადების როლის შესახებ ძალზე დაბალია, რაც წარმოადგენს საგადასახადო ადმინისტრირებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს. შესაბამისად, საგადასახადო კანონმდებლობაში ნებისმიერი ცვლილება ადრავს შიშს, რადგან მოსახლეობა ვერ აცნობიერებს კონკრეტული რეფორმის საჭიროებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ხელისუფლება მუდმივად უნდა მუშაობდეს მოსახლეობაში საგადასახადო ცნობიერების ამაღლებაზე, რათა ყოველმა სამეურნეო სუბიექტმა გააცნობიეროს, რომ გადასახადის გადახდა აუცილებელი და გარდაუვალი საზოგადოების კეთილდღეობის ზრდისათვის. ამავე დროს ხელისუფლებამ უნდა გაანალიზოს ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი, რომლის ატანა შეუძლია ბიზნესსექტორს, გაითვალისწინოს ბიუჯეტის შედგენისას და უარყოს ნეოლიბერალური სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ერთადერთი გზა მხოლოდ და მხოლოდ გადასახადების შემცირებაა. მსოფლიოში მიმდინარე პროტექციონიზმის, სავაჭრო ომებისა და ეკონომიკური კრიზისების პირობებში საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ესტონური მოდელის შედეგების დეტალური ანალიზი და შესაბამისი წინადადებების მომზადება, არსებული საგადასახადო სისტემის საფუძვლიანი და ეტაპობრივი რეფორმირება და პროგრესული სისტემის დანერგვა, საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია და საბიუჯეტო სახსრების მიმართვა ეკონომიკის სტრატეგიული დარგების განვითარებისთვის, განსაკუთრებით ინოვაციურ და ტექნოლოგიებატევად პროექტებში.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბახტაძე ლ., საგადასახადო საქმე, თბილისი, 2007
2. ბარათაშვილი ე., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, 2012
3. გურგენიძე პ., ესტონური მოდელი: რას მოგვცემს საგადასახადო შემოსავალი რეინვესტირებულ მოგებაზე, www.European.ge, 2016
4. ვეშაპიძე შ., ესტონური მოდელის ცალკეული ასპექტები და საქართველო, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2017
5. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში: გავლენის შეფასება სახელმწიფო ფინანსებზე და ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე, თბილისი, 2016, 1-17
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი: 1997 წელი
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი: 2004 წელი
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი: 2010 წელი
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
11. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკა: კომერციული ბანკების ფინანსური საქმიანობის მაჩვენებლები
12. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა, თბილისი, 2010, 1-22.
13. ტერაშვილი ნ., საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბილისი, 2006
14. ყამარაული ს., გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2010
15. შერგელაშვილი თ., სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია: სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისთვის, თბილისი, 2014
16. Bird M., The 18 countries with the lowest tax rates in the world, www.businessinsider.com, 2015
17. International Monetary Fund, Financial soundness Indicators, 2017

18. Muursepp R., Taxation in Europe, www.irefeurope.org, 2017
19. Plantera F., Feature: the case for a progressive income tax in Estonia, www.err.ee, 2018
20. Organization for economic cooperation and development, 2000-2018
21. Raju O, Estonian taxation system and innovation, Tartu, 2011
22. Torben M., The Nordic model embracing globalization and sharing risk, Helsinki, 2016
23. Trasberg U, Estonian Tax structure, Tartu, 2011
24. Unesco, research and development spending, 2019
25. United nations, human development report, 2018
26. Whitfield H., The world's most productive countries, www.expertmarket.co.uk, 2018
27. World economic forum, The global competitiveness report, 2018
28. www.statisticetimes.com, Projected GDP per capita ranking, 2018
29. www.tradingeconomics.com, Consumer Confidence Index, 2018
30. Вайнгорт В., Исследование налоговой системы Эстонии как института управления социальными процессами, Талин, 2018
31. Вайнгорт В., Исследование факторов трансформации социально-экономических институтов Эстонской республики в постсоветский период, Талин, 2017
32. Вайнгорт В., мифологические и реальные трансформации постсоветского общества на примере Эстонии, Талин, 2018
33. Вырк А., Распределение налоговой нагрузки в Эстонии и анализ ее влияния, 2010
34. Синицина И., Фискальная политика и организация государственных финансов Грузии, Варшава, 1997
35. Заико Л., Налоговая система как фактор конкурентоспособности, Минск, 2016
36. Шепенко Р., Система налогов и сборов Грузии: прошлое и настоящее, Налоги и финансы, 2017, 40-47
37. www.ereport.ru, Экономика Швеции, основные черты шведской экономики и промышленности, 2017
38. www.scienceforum.ru, Шведская модель в экономике, 2018